852 №14761

# საბურთალო

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 ოქტომბერი 2002 №185 (1707) | ფასი 50 თეთრი

## ქართული ფეხბურთი
### ცხვარი შენზეა, ლამაზო!



დინამო — მერანი 2:0. ვიტალი დარასელიას საჯარიმოდან დარტყმულ ბურთს მერანელთა მეკარემ რევაზ ნაჭყებიამ თვალიღა გააყოლა

ქვების სროლით და ცემა-ტყეპით საქართველოს ჩემპიონატში, აბა, ვის გააკვირვებ. საკვირველი სწორედ ის არის, რომ ამგვარი დაკა-დაკა ჩვეულებრივ ამბად იქცა.

აგერ, ამ ტურშიც: დიდი ქვათასროლა ატყდა ზესტაფონში, სადაც „მეტალურგი" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობდა. განა ერთი და ორი ისროლეს — იმდენი ჰქონდათ მიტანილი გულშემატკივრებს, კარგა ხანს არ გაუთავდათ და მატჩი ჩაიშალა, მსაჯი იოსებ კახიანი, მეტსახელად „ლამაზო" კი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს — პოლიციამ ივარგა და გაავებულ ზესტაფონელ ფეხბურთელქომაგებს ძლივს გამოგლიჯა. მაგრამ პოლიცია მაინც იმსახურებს საყვედურს — როგორ დავიჯეროთ, რომ სტადიონზე მისული საეჭვოდ ჯიბეგაბერილი ხალხის დანახვაზე წესრიგის დამცველთაგან არავინ დაფიქრდა, ნეტავ რა შეაქვთო. ან იქნებ სტადიონის დირექცია წინასწარ ახვედრებს მაყურებელს ქვებს?

არ ვიცით. ის კი ვიცით, რომ „მეტალურგის" პრეზიდენტს, ნუგზარ მდივანს თამაშამდე გული ცუდს უგრძნობდა, ემანდ რამე არ მოხდესო. მოხდა კიდეც. გასაოცარი გულთმისნობა კი არის, მაგრამ მატჩის ინსპექტორი ირწმუნება, მეექვსე გრძნობა არაფერ შუაშია, ქომაგები თავად მდივანმა შეაგულიანა თამაშის ჩასაშლელადო.

ოფიციალური ვერსიით, არეულობა მსაჯის მცდარ გადაწყვეტილებას მოჰყვა. შესაძლოა, მაგრამ ესეც რომაა: ზესტაფონის, ქუთაისის, გორის თუ სხვა ქალაქების პოლიცია წლიდან წლამდე მატჩებისას მეტ ფხას რომ იჩენდეს, სადისციპლინო კომიტეტი კი მართლაც მკაცრი იყოს, ვინძლო საქართველოს ჩემპიონატში ვითარება უკეთესი იყოს.

ამასობაში ლიდერი შეიცვალა. ივო შუშაკის მისვლის მერე „დინამო" პირველად ალზევდა პირველ საფეხურზე. შუშაკი კლუბში იანვარში მივიდა და ამ ცხრა თვეში ჩემპიონატის ოდენ ერთი თამაში წააგო.

გამარჯვების ტალღაზე მყოფი „დინამო" აქამდე მხოლოდ „ტორპედოს" ყოჩაღობის გამო ვერ სწვდებოდა პირველ ადგილს. „ტორპედო" კი ნელნელა დაბლა ეშვება. ბოლოსწინა ტურში „დინამოსთან" დამარცხდა, ახლა „ლოკომოტივთან". სამგზის ჩემპიონის ზედიზედ ორი მარცხი, თუნდაც ჩემპიონობის მაძიებლებთან, კარგის ნიშანი არ არის.

## ჩივაძემ რემონტი დაიწყო
### ნემსაძეს, ქინქლაძეს და ყაველაშვილს არა ჩაუწერა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუშინ ის ცხრა ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც 12 ოქტომბერს რუსეთთან მატჩისთვის უკვე გამოიძახა.

ერთი შეხედვით, ჩივაძემ გაბედული ნაბიჯი გადადგა. მწვრთნელმა, უეფას წესის შესაბამისად, მატჩამდე ორი კვირით ადრე გიორგი ქინქლაძის, გიორგი ნემსაძის, მიხეილ ყაველაშვილის, თემურ ქეცბაიას, გელა შეყილაძისა და ედიკ საჯაიას კლუბებს ამ ფეხბურთელთა ნაკრებში მიწვევის თაობაზე არ ამცნო, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, ზემოჩამოთვლილთა ეროვნულ გუნდში გამოუძახებლობას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ჩივაძემ გუშინდლამდე ეს ფეხბურთელები ნაკრებისთვის გამოუსადეგრად ჩათვალა და ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ინგლისური „დერბი" იქნება თუ კვიპროსის „ანართოსისი", კლუბს უფლება აქვს, ფეხბურთელი ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვას. თუმცა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, ფედერაცია ყველა ქართველი ლეგიონერის კლუბთან ადრევეა შეთანხმებული და საჭიროებისას ფეხბურთელთა მოწვევა პრობლემას არ შექმნის.

სადღეისოდ კი ალექსანდრე ჩივაძის რჩეულ ლეგიონერთა სია ასეთია: კახა კალაძე („მილანი", იტალია), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), გიორგი დემეტრაძე („ალანია", რუსეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო", ლატვია), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი (სამივე „ფრაიბურგი", გერმანია), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა).

ეროვნული გუნდის მწვრთნელს ჯერჯერობით ეს ფეხბურთელები ჰყავს გამოძახებული, დანარჩენთა ვინაობას კი „დინამო" — „ლიბერეცის" ხუთშაბათის მატჩისა და ჩემპიონატის უახლოესი ტურის შემდეგ გამოაცხადებს.

ნაკრები, როგორც გუშინ ფედერაციაში გვითხრეს, რუსეთთან მატჩისწინა შეკრებას 7 ოქტომბერს დაიწყებს. გუნდი სასტუმრო „საირმეში" დაბინავდება. ხოლო სად ივარჯიშებს, მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია.

გუშინ კი რუსეთის ნაკრების თავკაცმა ვალერი გაზაევმა საქართველოსთან მატჩისთვის მოსამზადებლად 24 ფეხბურთელს უხმო.

კობა ინასარიძე

## დაივიწყე ირლანდია, გახსოვდეს რუსეთი!

სენსაცია არ მომხდარა, ქართველმა მორაგბეებმა დუბლინში ირლანდიასთან წააგეს. კაცმა რომ თქვას, სენსაცია არც მოხდებოდა, რაკი რაგბიში ამგვარი რამეები არ ხდება.

ბორჯღალოსნებმა დიდი ანგარიშით წააგეს — უფრო დიდით, ვიდრე რუსეთი დამარცხდა იმავ ირლანდიასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 13 ოქტომბერს თბილისური გადამწყვეტი შერკინებისას ფრე რუსებისა იქნება.

მაგრამ ეს თავისთავად უსიამოვნო ამბავი კიდევ ერთი მიზეზია ჩვენს მორაგბეთა შემართებისთვის და ოდენ გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის. მთავარი მიზეზი კი ისედაც ფასეულია — გაიმარჯვებ, მსოფლიოს თასზე ითამაშებ! და კიდევ, რუსეთის დამარცხებას სხვა გემო აქვს.

იმედი? დიახაც გვაქვს. დიახ, რუსეთი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო და ბორჯღალოსნებმაც ოდნავ უკლეს, მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა დუბლინში ორი ლელო გაიტანა და ეს უბრალო საქმე არ არის. იმავ დუბლინიდან ოთხი წლის წინ ქართველები პირწმინდად წაგებულები დაბრუნდნენ და ახლა ეს ორი ლელო მით უფრო ბევრს ნიშნავს.

რუსეთთან ათი ამდენი გაგვეტანოს!



ვასილ კაცაძე ირლანდიელთა ლელოში





# ვარაუდი: ჟორდანია არველაძეს ამზადებს და ნაკრებს უმზადებს

## ევროპელი მწვრთნელები ჩივაძეს დასვენებას ურჩევენ

**ერთი** საინტერესო ამბავი: შაბათს პრესკონფერენციაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიას** ჰკითხეს:

— მართალია, რომ რევაზ არველაძის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას აპირებთ?

— არა, არ არის მართალი. რევაზ არველაძეზე ფედერაცია გაცილებით სერიოზულად ფიქრობს და მისი დიდად ეიმედება. ამიტომაცაა, რომ რეზოს მწვრთნელთა სემინარებზე ხშირ-ხშირად ვაგზავნით. ისე კი ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებს მწვრთნელები ჰყავს.

ასეთი იყო მერაბ ჟორდანიას პასუხი და ჩვენც ბუნებრივად მოგვეცა ვარაუდის საფუძველი, რომ ფედერაცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელად სწორედ რევაზ არველაძეს ამზადებს. მით უმეტეს, არველაძე ვარშავაში გამართულ უეფას მიერ ორგანიზებულ ეროვნული გუნდების მწვრთნელთა სემინარზე ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად იმყოფებოდა და თბილისში დაბრუნებულმა პრესკონფერენცია მან გამართა და არა ჩივაძემ. თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩივაძე შაბათს კიევში, ბლოხინის იუბილეზე იყო დაპატიჟებული.

პრესკონფერენციაზე კი **რევაზ არველაძემ** აი, რა გვიამბო:

— სემინარი 23 სექტემბერს გაიხსნა და მასში თითქმის ყველა ცნობილი ევროპელი მწვრთნელი მონაწილეობდა. გახსნისას უეფამ შენოლ გიუნეში და რუდი ფიოლერი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებისთვის დააჯილდოვა. მერე ამ მწვრთნელებმა ინტერვიუები ჩამოარიგეს. გიუნეშმა აღნიშნა, თურქული ფეხბურთის ასეთი პროგრესი პირველ ყოვლისა ადგილობრივი ტელევიზიების დამსახურებაა. 1992 წლიდან დღემდე თურქული კლუბები ყველაზე მეტ შემოსავალს სწორედ ტელევიზიებიდან იღებენ. ამავე პერიოდიდან თურქეთში ბავშვთა ფეხბურთს უდიდესი ყურადღება მიაქციეს. თავიდან ისე დაიწყო, როგორც ახლაა ჩვენთან, მომრავლდა ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნები. შეიქმნა მოყვარულთა გუნდები, მერე კლუბები, რომლებიც ბოლოს ქალაქის პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდებს შეუერთდნენ. ფიოლერმა და სხვა მწვრთნელებმა კი გერმანიის ნაკრების წარმატება „დორტმუნდისა" და „ლევერკუზენის" წარმატებულ სეზონს დაუკავშირეს. სემინარზე იყო დისკუსია ნაირ-ნაირ საკითხებზე. მაგალითად, როცა ლემერმა აღნიშნა, ფეხბურთელის მოედნიდან გაძევება უკვე თავისთავად მკაცრი სასჯელია და საჭირო არ არის მან მეორე მატჩი გამოტოვოსო. ასევე იყო ლაპარაკი ამხანაგური მატჩების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ითქვა, რომ ნაკრებთათვის მოსამზადებლად ამხანაგური ტურნირები ჩავატაროთო, თუმც საბოლოოდ კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა. ალექსანდრე ჩივაძემ აღნიშნა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მერე ფეხბურთელებისთვის ერთი კვირა აქტიური დასვენება საკმარისი იქნება, ისინი ტონუსს შეინარჩუნებენო. ბევრი მწვრთნელის აზრით კი, ყველაზე ცოტა, ერთი თვე დასვენება აუცილებელია. პირველი გოლის ფაქტორიც გავარჩიეთ. უეფამ სტატისტიკური მონაცემები შემოგვთავაზა და გაირკვა, რომ პირველი გოლის გამშვებ გუნდს გამარჯვების შანსი 12-14 პროცენტილა რჩება. მატჩის მიმდინარეობისას წარმოქმნილი სადავო ეპიზოდების ვიდეოჩანაწერების გამოყენებაზე კი კოლინამ აღნიშნა, დაგვიტოვეთ თავის ადამიანებად შეგრძნების უფლება, ჩვენც ვცდებითო. მეც ვეთანხმები. ყოველი სადავო ეპიზოდი თუ გაირჩევა, მატჩი როდისღა დამთავრდება.

რევაზ არველაძემ დანიის, იტალიის, ირლანდიის ნაკრებთა მწვრთნელების მოსაზრებებიც გადმოგვცა. სიტყვა კი მერაბ ჟორდანიამ გააგრძელა და თავში ნახსენების გარდა თქვა:

— სიტყვები არ მყოფნის შვეიცარიაში საქართველოს ნაკრების თამაშით გამოწვეული ჩემი გაწბილების გამოსახატად. მარტო ნიჭი საკმარისი არ ყოფილა. რუსეთთან მატჩისთვის ეროვნულ გუნდში ბევრი ახალი სახე იქნება. შეკრება, როგორც ყოველთვის, მატჩამდე სამი-ოთხი დღით ადრე დაიწყება და ნაკრები სასტუმრო „სარმეში" დაბანაკდება. რუსეთთან ბილეთების ფასს კი, რეალიზაციიდან გამომდინარე, შესაძლოა, დავაკლოთ კიდეც. ეს არაა გამორიცხული.

პრეზიდენტმა ფედერაციაში მომხდარ საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა, თუმც ამის თაობაზე შაბათის „სარბიელში" წაიკითხავდით.

**ბონდა ინასარიძე**

საქართველოს | უმაღლესი | ლიგა | ჩემპიონატი | პირველი | ეტაპი

# 9 ტური

# მატჩი ჩაიშალა, მეტალურგი დაიშალა?

## ზესტაფონელს ტყვიით თუ შეაშინებ

ზესტაფონი. 28 სექტემბერი. 17 საათი. ცენტრალური. 2 000 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

65-ე წუთზე თამაში ჩაიშალა

0:1 ფოფხაძე (24), 0:2 მერებაშვილი (49), 0:2 ნუნუნავა (55), 0:3 მერებაშვილი (65)

| | |
|---|---|
| **მეტალურგი:** ა. ლაბაძე, მებონიშვილი, ორმოცაძე, შეყრილაძე, გაბრიჭიძე, სუხიაშვილი (ნ. ლონდაძე 53), ჩაჩუა, სულაკაძე, ენდელაძე, ა. ხაჭაპურიძე, ფოფხაძე. სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ჭანიბერიძე, გოგაძე, მაღლაკელიძე, ნიშნიანიძე, გურეშიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე | **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, მუჯირი, იმნაკერელი, ბჟელქიანი, დოლმელაშვილი, ლ. ნოზაძე, თედორაძე (ე. მერებაშვილი 46), დ. ბოლქვაძე, ყოფიანი, ადამია, ნუნუნავა (დ. დოლიძე 58). სათადარიგონი: მამარდაშვილი, კვახაძე, ფეიქრიშვილი, ბერელიძე, გ. გოზაშვილი. მწვრთნელი: ჯანი კარნეველი |

**გაფრთხილებები:** მუჯირი (14), ადამია (16), ჩაჩუა (16), ლაბაძე (48)

**განძევება:** შეყრილაძე (48)

**მსაჯები:** ი. კახიანი (თბილისი); ჯ. გაბრიაძე (ქუთაისი), ჯ. თბილელი (თბილისი); ა. ორჯონიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ჯარიმა: 19-22; კუთხური: 0-2; კარისკენ დარტყმა: 8-1; კარში დარტყმა: 2-8; თამაშგარე: 0-5

**იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან**

„მეტალურგის" და „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება საინტერესო სანახაობას გვპირდებოდა. მეტოქეები ცხრილში მე-4-მე-5 ადგილებზე იმყოფებოდნენ და ზეძქსეულში პოზიციის განსამტკიცებლად, ცხადია, თამაშის შედეგს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

სტუმარ-მასპინძლის საბრძოლო განწყობა საწყის წუთებშივე დადასტურდა. თამაშმა იმთავითვე მძაფრი ხასიათი მიიღო. პირველი სახიფათო მომენტი ვეტერინართა კართან შეიქმნა. საჯარიმოში ჩასაფრებულმა ენდელაძემ შეყრილაძის ჩაწოდებულს ახლოდან შეაგება თავური, მაგრამ არცთუ ძლიერად, თანაც არაზუსტად. სტუმრები ვალში არ დარჩენილან. სწრაფი იერიშის შემდეგ ყიფიანი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმც ლაბაძეს ვერ აჯობა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ეგ იყო, მასპინძლები მეტოქეზე მეტად აქტიურობდნენ და შუა ტაიმში დაუფასლდათ კიდევაც მონდომება. ფოფხაძემ სტუმართა ნახევარზე მოიგდო ბურთი, ერთი-მეორეს მიყოლებით დაუსხლტა მცველებს, საჯარიმოში შეაღწია და ახლო კუთხეში აულებელი დაურტყა მერლანს. შესვენებამდე დარჩენილ დროში ვეტერინარები გათანაბრებას ლამობდნენ და ორჯერ ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ზესტაფონელთა მეკარემ იმარჯვა — ლაბაძემ ჯერ ადამიას არ გაატანინა ახლოდან, მერე კი ყიფიანის მიერ საჯარიმოდან სახიფათოდ დარტყმული გააუვნებელა. დაძაბულობის მიუხედავად, პირველმა ნახევარმა, უქსცესოდ ჩაიარა, თურმე რა გიხარია, ჯერ სად ხარ?

თამაში განახლდა და სტუმრებმა გაორკეცებული ძალით შეუტიეს. მათ პირველსავე იერიშს აყალ-მაყალი მოჰყვა. ზესტაფონელ მცველებს ერთდროულად სამი ვიტელი გაეპარათ, მათ შორის ადამიაც, რომელიც პარტნიორთაგან გრძელი პასის შემდეგ წინ გაიჭრა და, ალბათ, გაიტანდა, კარიდან გამოსულ ლაბაძეს საჯარიმოს წინ რომ არ წაექცია. მეკარემ ბოლო იმედის ჯარიმის ფასად იხსნა თავისიანები და უმკაცრეს სასჯელსაც იმსახურებდა, თუმც აქ უმჯობესია მოვლენებს მივყვეთ. მასპინძლები ჯერ თანამსაჯ კარლო თბილელს მიეჭრნენ, თამაშგარე რატომ არ აღნიშნეო (ადამია მართლაც საეჭვო მდგომარეობიდან დაედევნა ბურთს), მერე კი არბიტრს წაესივნენ, რომელიც თურმე 11-მეტრიანის დანიშვნას აპირებდა (არადა, წესის დარღვევა, როგორც ვთქვით, საჯარიმოს გარეთ მოხდა). ბევრი იყოყმანა შემთხვევის ადგილზე გასულმა სოსო კახიანმა (ამასობაში მუჯლუგუნიც მიიღო შეყრილაძისგან), მერე გვერდზე გადგა და თბილელს უხმო სათათბიროდ და, როგორც იქნა, განაჩენი გამოიტანა — შეყრილაძეს წითელი აუნთო, ლაბაძეს გაფრთხილება აკმარა, პენალტი კი, სხვა რა გზა ჰქონდა, გადათქვა.

ათი წუთით შეწყვეტილი თამაში გაგრძელდა. სტუმრებმა დრო იხელთეს და გაბოროტებულ მასპინძლებს ისე შეუტიეს, რომ საბოლოოდ აუბნიეს თავგზა და თექვსმეტ წუთში სამი ბურთი გაიტანეს. მეტსაც შესძლებდნენ, მატჩი ერთხელაც და საბოლოოდ რომ არ შეწყვეტილიყო. მესამე გოლის შემდეგ კარლო თბილელს ტრიბუნიდან რაღაც საგანი მოხვდა თავში. საცოდავმა უმალ მიატოვა „პოსტი" და ცენტრისკენ მოუსვა სულის მოსათქმელად. ამასობაში მოპირდაპირე ტრიბუნიდანაც იმატა ქვების ცვენამ, რამდენიმე ადგილობრივმა ქომაგმა მოედანზე შეჭრაც მოახერხა, სიტუაცია უმართავი შეიქნა. წესრიგის დამცველთა და ზესტაფონელ ფეხბურთელთა მცდელობამ მსაჯებისთვის საფრთხე აერიდებინათ, ბოლომდე არ გასჭრა. ყველაზე მეტად დაზარალებული ისევ თბილელი აღმოჩნდა. იგი უმოწყალოდ სცემეს და თუ ვინ ჩაიდინა ეს უმსგავსოება, ზესტაფონელი პოლიციელებისთვის უცნობი არ უნდა იყოს. ვითარება ისე გამწვავდა, თამაშის გაგრძელებაზე საუბარიც არ ყოფილა. მსაჯებმა ძლივს უშველეს თავს. ალვირახსნილი ბრბო მხოლოდ ზესტაფონის პოლიციის უფროსის ხვიჩა გუმბერიძის მიერ ჰაერში გასროლილ ტყვიებს შეუშინდა და დაიშალა.

ცუდი, ძალიან ცუდი ამბავი მოხდა ზესტაფონში, ამ სკანდალს ფედერაცია, ალბათ, შესაბამის რეაგირებას მოაყოლებს.

**ნუგზარ მდივანი, „მეტალურგის" პრეზიდენტი:** თამაშამდე და შესვენებაზეც მსაჯებთან მივედი, ვთხოვე, ობიექტურად იმსაჯეთ, სიტუაციას ნუ დაძაბავთო. გული ცუდს მიგრძნობდა. მომხდარს გამართლება არა აქვს, მაგრამ ვკითხულობ, რატომ დაგვინიშნეს კახიანი. მას წელიწადზე მეტი ჰქონდა გამოტოვებული, კვალიფიკაცია აკლია. ბევრჯერ მიფიქრია გუნდიდან წასვლაზე, მაგრამ კლუბის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, „მეტალურგს" უპატრონოდ ვერ დავტოვებდი, ახლა მორჩა. ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელია და ჩათვალეთ, რომ „მეტალურგიდან" წავედი.

**ალიკ დურსუნიშა, სფფ-ის ინსპექტორი:** გაოგნებული ვარ მომხდარით. ეს ქართული ფეხბურთის სირცხვილია. არ ვაპირებ მსაჯების გამართლებას, შეცდომები იყო. კახიანს ის პენალტი რომ დაენიშნა, მე თვითონ ჩავიდოდი მოედანზე და გადაწყვეტილებას შევაცვლევინებდი. ვფიქრობ, მაყურებელი ვიღაცამ წააქეზა და ის ვიღაც ეჭვებით შეპყრობილი ნუგზარ მდივანია.

**ალეკო შეყრილაძე:** ჩემს საქციელს გამართლება არა აქვს. ვიცი, თავი უნდა შემეკავებინა, მაგრამ ნერვები ვერ მოვთოკე. ჩვენმა მეკარემ საჯარიმოს გარეთ დაარღვია წესი, მსაჯი კი პენალტით დასჯას გვიპირებდა. კახიანს რომ იმ მომენტში სწორი გადაწყვეტილება მიეღო — მეკარე გაეძევებინა და ჯარიმა დაენიშნა, შესაძლოა, სკანდალამდე საქმე არ მისულიყო. თამაში წაგვიგია, მაგრამ ასეთი ამბავი არ ამტყდარა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

### საქართველო — რუსეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 ოქტომბერი. 20 საათი



ვალერი გაზაევმა სათბილისოდ მზადება დაიწყო

# რუსეთმა ჯარი შეჰყარა

რუსთა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა გუშინ იმ ოცდაოთხი ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, 12 ოქტომბერს ქართველებთან სათამაშოდ რომ იახლებს.

რუსული არმია მხოლოდ ოთხი ლეგიონერით ეწვევა თბილისს. ორ „ესპანელს", ვიქტორ ონოპკოს (რაიო ვალეკანო) და დმიტრი ხოხლოვს (სოსიედადი) ბორდოელი ალექსეი სმერტინი ამოუდგება გვერდით. სანაკრებო სიაშია კორეაში გადახვეწილი დენის ლაკტიონოვიც.

რუსთა 24-კაციანი განაცხადი ასეთია:

*მეკარეები:* რუსლან ნიგმატულინი (ცსკა), სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი);

*მცველები:* ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), სერგეი იგნაშევიჩი, ვადიმ ევსეევი, გენადი ნიჟეგოროდოვი (ლოკომოტივი), ვიაჩესლავ დაევი, ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა);

*ნახევარმცველები:* ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი), დენის ლაკტიონოვი („სამსუნგი", კორეა), როლან გუსევი, სერგეი სემაკი, იგორ იანოვსკი, ანდრეი სოლომატინი (ცსკა), ევგენი ალდონინი (როტორი), დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი), იგორ სემშოვი (ტორპედო), ანდრეი კარიაკა (კრილია);

*თავდამსხმელები:* დენის პოპოვი, დმიტრი კირიჩენკო (ცსკა), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (სპარტაკი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), რუსლან პიმენოვი (ლოკომოტივი).

ვალერი გაზაევი ამათ იმედზე იქნება 16 ოქტომბერს ვოლგოგრადში ალბანეთთან მატჩისთვისაც.

**ბაატა ძგანტალიანი**

### ინგლისი
პრემიერლიგა. VIII ტური

ვესტ ბრომვიჩი 0:2 ბლეკბერნი

### ჩეხეთი
IX ტური

სიგმა 3:0 იაბლონეცი

### ნორვეგია
XXIII ტური

ბრანი 2:3 ვიკინგი

### პორტუგალია
I ლიგა. V ტური

აკადემიკა 2:2 მიმარაეში

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
VII ტური

მაინცი 0:0 ფრაიბურგი

### იტალია
სერია C1/A. V ტური

პისტოიეზე 2:1 სპეცია

### შვედეთი
XXII ტური

ჰელსინგბორგი 1:4 ნორჩეპინგი

იორგრიტე 4:2 იურგორდენი

ჰამარბი 1:1 ელფსბორგი



ნუგზარ მდივანი

# წავედი

— მილჩენკოსთან, ღურსუნიშთან და კახიანის დარ უნამუსო მსაჯებთან ურთიერთობას აზრი არა აქვს. ჩემთვის ძნელად შესაგუებელი გადაწყვეტილება მივიღე — ქართულ ფეხბურთში ჩემი დარჩენა არ შეიძლება. ნუგზარ მდივანი წავიდა და ალბათ ეს ზემოთნახსენებ პირებს გაუხარდებათ კიდეც. მათ ყველაფერი იღონეს „მეტალურგის" გასანადგურებლად და მდივანის მოსაშორებლად.

წყალშია ჩაყრილი შრომა, რეგიონული ლიგიდან დაწყებული წინსვლა უმაღლესში გადასვლით და იქ სოლიდური თამაშით განვამტკიცეთ. ქართული ფეხბურთისთვის ჩვენც ვიღწვოდით, ძალიან მენანება, მაგრამ მე წავედი — ასე დასრულა „სარბიელთან" საუბარი „მეტალურგის" პრეზიდენტმა.

გუშინწინ ითქვა, ნუგზარ მდივანს გულმა შეუტიაო. გუშინ მდივანი ჯერაც ზესტაფონში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

**მამუკა ქმანტალიანი**

# ფედერაცია: მეტალურგი სამაგალითოდ დაისჯება

**როგორ განაჩენს** გამოიტანს ფეხბურთის ფედერაცია „მეტალურგი" — „ვიტ ჯორჯიას" ჩაშლილი თამაშის შემდეგ, ჯერჯერობით უცნობია, თუმც ზესტაფონელთათვის სანუკვეში იმ განაჩენში რომ არაფერი იქნება, ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძის საუბრიდანაც შეიტყობთ...

— ათასჯერ გვითქვამს, ფედერაციისთვის ყველა გუნდი ერთია, შეღავათები არავის აქვს. ვითარება არც იმით იცვლებოდა, ნუგზარ მდივანი და „მეტალურგი" საპრეზიდენტო არჩევნებში დავით პეტრიაშვილის მხარდამჭერნი რომ იყვნენ. ამის დასადასტურებლად ზესტაფონური გუნდის შედეგებიც გამოდგება.

ნუგზარ მდივანმა მაინც არ მოისვენა, სულ იმის ცდაში იყო, ჩემპიონატისთვის ჩრდილი მიეყენებინა. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ამას ვერავინ მოახერხებს. ვნახეთ მატჩის ვიდეოფირი, „მეტალურგს" მსაჯებზე საპრეტენზიო რა ჰქონდა, გაუგებარია. კახიანს მათთვის არაფერი დაუკარგავს და მასპინძელთა გაავება ამიტომაც იყო გასაკვირი. გარკვეული დარღვევებისთვის „მეტალურგი" აქამდე რომ დაგვესაჯა, შაბათის ინციდენტი, მჯერა, არ მოხდებოდა. მდივანმა თამაშამდე დაიწყო ქოძაგის პროვოცირება, როგორ მოხერხდა მსაჯების დაცვა, ჩემთვის წარმოუდგენელია.

ბატონი ნუგზარის საავადმყოფოში მოხვედრა ჩვენში სიბრალულს არ გამოიწვევს. სადისციპლინო კომისია გამოუტანს დამნაშავეებს განაჩენს, ჩვენი მოთხოვნა მათ მიმართ მხოლოდ ერთი იქნება — მაქსიმალური პრინციპულობა.

ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია კი გადაჭრით ამტკიცებს — „მეტალურგს" 0:3 წაგება ჩაუთვლება და არც დისკვალიფიკაცია ასცდება ზესტაფონურ სარბიელს, დანარჩენს კი თავის წილად დისციპლინარული დაამატებენო.

**მამუკა ქმანტალიანი**

# პირველმა გერმანელმა უკრაინელ ბელგიელს მეგრელებით მოუგო

**კობა ინასარიძე**

„ლოკომოტივი" — „ტორპედო", ვიცე-ჩემპიონი ჩემპიონის წინააღმდეგ. შარშან ისინი ოთხჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თბილისელებმა ერთხელ იმარჯვეს და ისიც ქუთაისში, ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა, დანარჩენი „ტორპედომ" მოიგო, თბილისში 1:0, შინ — 2:0. შარშანდელისა და გუშინწინდელის მერე კი ამათ შორის ბალანსი ყველა მონაცემით გათანაბრდა — ორი მოგება, ორი ფრე, ამდენივე წაგება, ბურთები 4:4.

იშვიათად ასეთი დაძაბული, საინტერესო, ჟინიანი და უხვმომენტიანი მატჩი გამოერიოს ეროვნულ ჩემპიონატში. ბევრი რამ იყო თვალსასეირო. უპირველესად კი თბილისელთა პირველი გერმანელი ლუის ცაკარიასისა და ქუთაისელთა უკრაინელი ბელგიელის ალექსანდრ შტელინის დუელი. მართალია, ეროვნული ჩემპიონატისთვის რაღაც საოცარით, ალსაფრთოვანებელით არც ერთის გაწვრთნილი გუნდი გამოირჩეოდა და არც მეორის, მაგრამ უცხოელთა ხელში გუნდების ტაქტიკური სქემა გადასხვაფერებული რომ იყო, თავისთავად აღსანიშნავი ფაქტია.

ცაკარიასს აქცენტი ნახევარდაცვაზე ჰქონდა, რაც ნამატჩევს თავადაც თქვა. ღონიერი კვარაცხელია, მაღალი, ჩამოქნილი ლაცაბიძე მწვრთნელმა შუაში გაამწესა. ფლანგებზე ჭაბუკები — სირაძე და ბურნაძე, რომლებიც გამთამაშებლის ფუნქციებსაც კარგად ასრულებდნენ და უკან, შუაში, ოდნავ ზემოთ აწეულმა ორბელაძე-სალუქვაძის წყვილმა ქუთაისელთა ნახევარდაცვა აშკარად დაჯაბნა. შტელინმა სამკაციან უკანა ხაზს შუაში გივი დიდავა რომ ჩაუყენა, ვინც ბოლო ხანს ნახევარდაცვაში თამაშს დაეჩვია, ბევრიც წააგო. არც უკრაინიდან მობრუნებული ჩომახიძეა ისეთი ფეხბურთელი, საყრდენის ფუნქციები დამაკმაყოფილებლად შეასრულოს, არც კვეტენაძე და მით უმეტეს ასათიანი. სამივეს ჩაშლაზე მეტად პასი უფრო ეხერხება. შტელინის ასეთი გადაწყვეტილებით კი სტუმართა შუა ხაზი უღონო დარჩა. ცენტრში მოპოვებულმა უპირატესობამ განაპირობა კიდეც „ლოკომოტივის" სასარგებლო ანგარიში და ისიც ვთქვათ, ორივე გოლი მასპინძლებმა სწორედაც რომ ცენტრიდან შექმნეს. მეორე ტაიმში, როცა ხვადაგიანმა პოროშინი შეცვალა, დიდავამ ზემოთ კი აიწია, მაგრამ ამ ცვლილებით, 1:0-ზე „ტორპედოს" თავდამსხმელი დააკლდა და ზირაქიშვილის 75-ე წუთზე, ისიც ასათიანის ნაცვლად გამოჩენა, ქუთაისელთა მწვრთნელს სწორ ნაბიჯად ვერ ჩაეთვლება.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივმა" სტუმართა ნახევარდაცვა რომ განგრია, მერე პასების განაწილება დაიწყო. ბურნაძეს ორჯერ ზედიზედ ისეთი საგოლე შანსი ჰქონდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. დავითაშვილ-ლაცაბიძის ქუსლური კედლის შედეგად ბურნაძე კარიდან ორ მეტრში დარჩა, მეკარეც ჩამოიშორა, მაგრამ, ბურთი მცველებითლა დაცულ კარის ძელს მოარტყა; მეორე შემთხვევაში კი ასევე საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და მცველებმა დაასწრეს. აქედან ხუთ წუთში, ტაიმის ბოლოსკენ, რეალური მომენტი ქუთაისელებს შეექმნათ, თუმც ლომაიამ იყოჩაღა. ახალკაცის ახლოდან დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია, საიდანაც ჩაწოდებული ბურთი ბაბუნაშვილმა ძელს ვერ ააცილა და მერე იქიდან ასხლეტილის გატანა იონანიძეს ისევ ლომაიამ არ დაანება.

შესვენების შემდეგ კი „ლოკომოტივის" პირველივე შეტევა ჯანაშიას გოლით დასრულდა. მოედნის ცენტრში ქუთაისელებმა ბურთი რომ დაკარგეს, სირაძეს ბევრი არ უფიქრია, ქებულაძე-მახვილაძის შუა დარჩენილ ფორვარდს პასი გვერდიდან გაუჭრა და თავისიანი მეკარეს პირისპირ შეატოვა. მასპინძელმა შეუჩერებლად, ჭანტურიასთვის მოულოდნელად დაარტყა, თუმც ბურთი მეკარეს ფეხზე მოხვდა, იქვე გაგორდა, ჯანაშიამვე მოუსწრო და მახვილი კუთხიდან გაიტანა, რასაც ჩვეული მალაყიც მიაყოლა. ამის მერე იყო, „ტორპედო" საგრძნობლად რომ გააქტიურდა. წინა ტურში შინ „დინამოსთან" 0:1, ახლაც იგივე ანგარიში, ზედიზედ ორჯერ წაგება ჩემპიონებისთვის შეუფერებელია. ბარე 10-15 წუთი „ტორპედომ" მასპინძლები საჯარიმო მოედანს არ გააშორა. დიდავას რამდენჯერმე, მერე ზირაქიშვილს, იონანიძეს საზეიმო მომენტებიც მრავლად ჰქონდათ, მაგრამ ლომაია უშეცდომო იყო და არც მცველები სცოდავდნენ გამოუსწორებლად. სამაგიეროდ, შესცოდეს და დაისაჯნენ სტუმარი მცველები: „ლოკომოტივმა" მატჩისთვის მსაჯის წამატებულ წუთში ბურთი მოიგდო, ქუთაისელთაგან ცენტრის ხაზს უკან მეკარის გარდა აღარავინ იყო, ჯანაშიამ ბურნაძე მეკარეს შეატოვა, ჭანტურია კარიდან დაახლოებით 20 მეტრში გამოვიდა, მასპინძელმა ბურთი გადაუგდო და გზის გაგრძელებას აპირებდა, როცა მეკარე დაეჯახა. 0:0-ზე ეს ბოლო იმედის ჯარიმად ჩაითვლებოდა, თუმც ისიცაა, ბურნაძეს ესკორტად სამი თანაგუნდელი მიჰყვებოდა და რომელიმე მაინც გაიტანდა. მალაღურაძემ ოდენ გაფრთხილება აკმარა სტუმარს, გოლი კი ცარიელ კარში მიქაძემ შეაგორა.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:*

— „დინამოსთან" წაგებული მატჩის შემდეგ ბიჭებისადმი თუ სასაყვედურო არაფერი მქონდა, ახლა ჩემი გუნდით გაწბილებული დავრჩი, ყველასთან მაქვს პრეტენზიები. ისიცაა, რომ „დინამოს" შემდეგ ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს, ცოტა გადაღლილებიც კი ჩანდნენ, მძიმედ მოძრაობდნენ. წაგების უპირველესი მიზეზი, ვფიქრობ, სწორედ ესაა.

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— დღეს შესაძლებლობების 70 პროცენტი ვაჩვენეთ. კარგი, ქომაგისთვის სასიამოვნო საცქერი მატჩი გამოვიდა. მეტოქეზე ვერაფერს ვიტყვი, ჩემი კოლეგის საქმეა თავისი გუნდის შეფასება. „ლოკომოტივმა" შუა ხაზში იყოჩაღა და ამან განაპირობა კიდეც საბოლოო შედეგი. რა თქმა უნდა, ნაკლი გვქონდა, მაგრამ გუნდში სულ ათი დღის მოსული ვარ და ასე სწრაფად ყველაფერს ვერ გამოვასწორებ. უპირველესი სამუშაო ისაა, რომ თამაშისას ბიჭებს თავისუფალი ზონები არ დარჩეთ და ბრძოლისუნარიანები იყვნენ. სადაც მიმუშავია, ყველგან ასე იყო. დღევანდელი თამაშისთვის კი ფეხბურთელები მადლობას იმსახურებენ.

თბილისი. 29 სექტემბერი. 17 საათი. ლოკომოტივი. 2 000 (ტევადობა 25 000)

**ლოკომოტივი 2:0 ტორპედო**

1:0 ჯანაშია (51), 2:0 მიქაძე (90)

| ლოკომოტივი | ტორპედო |
| --- | --- |
| **ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, ლ. მიქაძე, ზ. ლაცაბიძე, კვარაცხელია, სირაძე (გოლაური 84), მ. ბურნაძე (გოგინაშვილი 90), ზ. ჯანაშია, დავითაშვილი (როჭია 77). სათადარიგონი: ივარდავა, ბული, ქორიძე, ქოქევიშვილი. მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | **ტორპედო:** ჭანტურია, მახვილაძე, დიდავა, ქებულაძე, ახალკაცი (გოგიაიძე 82), კვეტენაძე, ჩომახიძე, ბაბუნაშვილი, ასათიანი (ზირაქიშვილი 75), პოროშინი (ხვადაგიანი 62), იონანიძე. სათადარიგონი: სტურუა, გამეზარდაშვილი, ჩიქტიანი, ზ. ქუთათელაძე. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი |

გაფრთხილება: ბალაშვილი (30), სირაძე (42), კვარაცხელია (69), იონანიძე (87), ჭანტურია (90)

მსაჯები: მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილერტი

ჯარიმა: 16-14; კუთხური: 1-9; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 4-6; თამაშგარე: 2-3



„ლოკომოტივში" დაბრუნებულმა ლევან მიქაძემ (ბურთით) მატჩის ბოლოს გაიტანა

# საქორწილო საჩუქარი

## ფილიამ ძმისშვილს სამი ქულა უფეშქაშა

ფოთი. 28 სექტემბერი. 17 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 დილა**

1:0 ხაჭაპურიძე (11, კ.)

| კოლხეთი | დილა |
| --- | --- |
| **კოლხეთი:** გრიშიკაშვილი, გოროზია (კვერნაძე 46), შ. ლონდაძე, მ. ქობულაძე, სვანიძე, ქუტიძე, ფანჩულიძე, გაბიდაური, ე. გვასალია, ბაგუა (ნარსია 68), ხაჭაპურიძე. სათადარიგონი: ჩემია, კრასოვსკი, ბაჩილავა, მ. ფილია. მწვრთნელი: სოსო ფილია | **დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, გ. ზ. რევაზიშვილი (რაზმაძე 82), დავითიძე, ფეხუაშვილი, სოხიაშვილი, ჯობაძე, ა. ხმალაძე (სულთანიშვილი 69), ძოძუაშვილი (ხორგუაშვილი 51). სათადარიგონი: თ. იღურიძე, ლ. გოზაშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: რევაზიშვილი (73), ქუტიძე (73), ლონდაძე (85)

მსაჯები: კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (ბათუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოლიძეშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

ჯარიმა: 18-14; კუთხური: 10-2; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 4-4

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**ფოთის „კოლხეთი"** თანდათან გონს მოდის. ზედიზედ მეოთხე წაუგებელმა მატჩმა კოლხთა ამბიციები საექვსეულო გახადა, თუმც თამაშის ხარისხის მხრივ, მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ დასახვეწი. ამ მატჩის მეორე ტაიმმა ბევრს „მერანთან" დაპირისპირება გაახსენა, როცა ფილიას შეგირდებმა ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და მატჩის ბოლოს მეტოქეს გაათანაბრებინეს.

თუმც ამჯერად ასე არ მოხდა და ამაში ბრალი, უპირველესად, „დილას" მიუძღვის. საერთოდ, გორელებს ერთობ ბრძოლისუნარიან გუნდად ვიცნობთ, მაგრამ პირველ ტაიმში იმდენად ინერტულნი ჩანდნენ, ცოტა არ იყოს, საკვირველიც იყო.

თამაშის დაწყება და მასპინძელთა შეტევა ერთი იყო. სოლოლაშვილის კართან ხიფათი იმდენად გახშირდა, სწრაფი გოლი არავის გაჰკვირვებია. გოლამდე ორჯერ გადარჩა „დილა". ჯერ გაგუას აუცდა ოდნავ, ხოლო ორიოდ წუთში გვასალიას თავურს სოლოლაშვილი გადაელობა. თუმც მე-11 წუთზე ისიც უძლური აღმოჩნდა. საჯარიმოს მისადგომებთან ქობულაძემ ბურთი მარჯვენა ფეხზე მოიგდო და ყოველი შემთხვევისათვის მაინც დაარტყა კარში, თითქოს არაზუსტადაც, მაგრამ გზად მიმავალ ბურთს გორელთა კაპიტანმა ხაჭაპურიძემ ფეხი ისე დაუხვედრა, კოლხთათვის სასურველი მიმართულება მისცა და გაოგნებულმა სოლოლაშვილმაც რეაგირება ვერ მოასწრო.

ამ გოლმა სულ წაუხდინა ხასიათი ისედაც არეულად მოთამაშე სტუმრებს და კოლხებსაც შესვენებამდე კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა. ყველაზე რეალური კი ტაიმის შუაწელში შექმნილი ეპიზოდი იყო, როცა იგივე ქობულაძეს, თავით შეეძლო გატანა. თუმც მისმა დარტყმულმა ბურთმა ხარიხას ოდნავ ზემოთ გაუზუზუნა.

შესვენების შემდეგ თამაშის ხასიათი მკვეთრად შეიცვალა. „კოლხეთი" ოდნავ მოეშვა და ანგარიშის შენარჩუნებას შეუდგა, „დილა" კი პირიქით, ჩვეული აგრესიულობით ათამაშდა და ორჯერ გატანის რეალური შანსიც შეიქმნა. პირველად თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში, როცა შეტევაში ჩართულმა გიორგი ჩიტაიამ საჯარიმოში შეჭრა და მახვილი კუთხიდან დარტყმაც მოახერხა. იმარჯვა გრიშიკაშვილმა და ახლოდან ძლიერ დარტყმულს არ შეეპუა.

ქართლელთა სუსტ რგოლად შეტევის ხაზი ითვლება. ჰოდა, ხეირიან შემტევთა დეფიციტი ამ შეხვედრაშიც აშკარად იგრძნობოდა. ხაჩიძემ ძოძუაშვილის ნაცვლად გამოცდილ ხორგუაშვილს უხმო, მაგრამ ამით დიდი არაფერი შეცვლილა. არადა, გორელებს შეტევაში უფრო რომ ეყოჩაღათ, სათამაშო ინიციატივის თუნდაც ერთ გოლად გარდასახვა ადვილი შესაძლებელი იყო.

მეორე გამორჩეული საგოლე მომენტი კოლხთა კართან 64-ე წუთზე შეიქმნა. მოვლენები კვლავ მასპინძელთა მარცხენა ფლანგზე განვითარდა, სადაც ხმალაძე აღმოჩნდა ხეირიან პოზიციაში. მან კარში დარტყმა სცადა, მაგრამ უფრო კარის გასწვრივ პასი გამოუვიდა, რომელზეც ხორგუაშვილმა წამით დაიგვიანა, თორემ ორიოდ მეტრიდან გოლის გატანას უცილობლად მოახერხებდა.

ასე იყო თუ ისე, „კოლხეთმა" მოიგო და სოსო ფილიაც გახარებული გაეშურა ძმისშვილის ქორწილში. მატჩიც სწორედ ამ ამბის გამო დაიწყო ერთი საათით ადრე.

# კარლოსინიოს პრეზენტაცია და დინამოს რეპეტიცია

თბილისი. 28 სექტემბერი. 19 საათი. ტრიბუნაზე 800 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 მერანი

1:0 ბურდული (38), 2:0 დარასელია (78)

**დინამო:** გვარამაძე, ჯამარაძე, შაშიაშვილი, კარლოსი (ხიზანეიშვილი 86), ა. ხიზანეიშვილი), ა. სახვაძე (კანდელაკი 74), ამისულაშვილი, გოგიბერიშვილი, ბურდული, დარასელია, აშნაბაძე, გ.-ე. მიქაძე (ახალაია 68)
სათადარიგონი: ზოიძე, მაზიაშვილი, ი. სამხარაძე, კვირკველია
მწვრთნელი: ივო შუშაკი

**მერანი:** ნაჭყებია, ადუაშვილი, გუჯაბიძე, გ. ილურიძე, ჭინჭარაული, გ.-ბ. რევაზიშვილი, კოშკაძე, გრიგორიევი (ბ. ნოზაძე 72), ი. მენჯელია, ფირცხალაიშვილი, ჩილვინაძე
სათადარიგონი: გ. გაბელია, ბარათია, თუთარაშვილი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ილურიძე (55)

გაძევება: ო. გაბელია (40)

მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. ხუციშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. კარქაშაძე

ჯარიმა: 17-13; კუთხური: 10-6; კარისკენ დარტყმა: 10-4; კარში დარტყმა: 7-6; თამაშგარე: 0-3

**კახა შალამბერიძე**

**„დინამოში"** მატებაა. მატჩის დაწყებამდე გუნდები, ჩვეულებისამებრ, მოედანზე გავიდნენ და კლუბის „ახალი წევრიც" სწორედ მაშინ წარუდგა სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს...

ბრაზილიელი კარლოს და როჩა თავის პარტნიორთან ერთად მიესალმა ქომაგს. ათიოდრიან მაისურში ჩამალულმა ნორჩმა „კარლოსინიომ" უშიშრად გაართვა თავი „დავალებას". ახლა უკვე ჯერი მამაზე იყო.

— არ მინდა, ყველაფერი მსაჯებს დავაბრალო, მაგრამ ვერ გამიგია, რაში სჭირდება „დინამოს" მათი დახმარება. ორივე გოლი მასპინძლებმა წესების დარღვევით გაგვიტანეს. რას გვერჩიან? ყველამ იცოდეს, რომ „მერანი" უმაღლესი ლიგიდან არ გავარდება. მართალია, ფინანსურად ჯერაც გვიჭირს, მაგრამ უბრძოლველად არავის დავნებდებით. „დინამოს" კი წარმატებებს ვუსურვებ. ამ თამაშით „ლიბერეცთან" ალბათ, გაუჭირდება, თუმცა მაინც მჯერა, რომ დინამოელები ამ ეტაპს დაძლევენ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მერანის" თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

„მე-40 წუთზე მატჩი დროებით შეჩერდა. ექიმები მოედანზე დაშავებულ ფეხბურთელს მკურნალობდნენ. ამ დროს კი მთავარი მოვლენები მოედნის გარეთ დატრიალდა. სათადარიგო მსაჯმა კახაბერ მესხმა მატჩის არბიტრ მალხაზ მაისურაძეს უხმო და... მაისურაძემ ოთარ გაბელიას გინება არ აპატია და ტრიბუნისკენ მიუთითა. მწვრთნელმა ცოტა კი „გაიბრძოლა", მაგრამ ბოლოს მაინც მაყურებლებში მოუხდა გადანაცვლება.

სამაგიეროდ, „მერანი" გაუძალიანდა „დინამოს" ბოლომდე. ჩეხურ „ლიბერეცთან" უეფას თასის საპასუხო მატჩის მომლოდინე „დინამომ" ზედმეტი ნერვიულობის გარეშე კი მოუგო ავჭალელებს, თუმცა მასპინძელთა თამაშში არცთუ ცოტა ხინჯი შეინიშნებოდა.

ივო შუშაკმა საბრძოლო შემადგენლობა დაახვედრა მეტოქეს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ „ლიბერეცთან" „დინამოს" ტაქტიკა ოდნავ განსხვავებული იქნება. ყოველ შემთხვევაში, შუშაკი ჩეხებს სამი თავდამსხმელით ალბათ, არ შეუტევს, მით უმეტეს, ლადო ახალაიაც გამოჯანმრთელდა.

პირველ ტაიმში სულ ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ორივე დინამოელთა აქტიურობას მოჰყვა. თუმცა რევაზ ნაჭყებიამ ჯერ მიქაძეს აული სახიფათო თავური, მერე კი დარასელიას წაართვა თავში ხელები.

ასეთი თამაშით „ლიბერეცთან" წარმატებაზე ფიქრიც ძნელია. „დინამოს" აგრესია აკლდა და დაცვაში ჩამჯდარ მეტოქესთანაც ერთობ გაუჭირდა. პირველი 45 წუთი უფრო პოზიციურ ბრძოლაში გაილია. მასპინძლები ბურდულის გოლით დაწინაურდნენ და შესვენებაზეც მშვიდად გავიდნენ.



„მერანის" კართან ასეთი მომენტი არაერთი იყო

მეორე ტაიმი კი შუშაკმა ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა. ფეხბურთელებს ოდნავ უკან დაწევა და კონტრშეტევებზე თამაში დაავალა, რამაც „დინამოს" დაცვის ხაზში რამდენიმე ნაპრალი გამოაჩინა.

— საბედნიეროდ, ჩვენ მეკარეც გვყავს — იხუმრა პრესკონფერენციაზე ივო შუშაკმა. მეკარე თუ გვყავს, კარგია, მაგრამ „ლიბერეცთან" მარტო გვარამაძის იმედზეც რომ ვერ ვიქნებით, ფაქტია. თანაც: „ვერ გამიგია, „დინამოს" თუ ჰყავს მეკარე, საქართველოს ნაკრებშიც ხომ გვარამაძე დგას კარში?" — ემოციური რეპლიკით გამოეხმაურა შუშაკის ნათქვამს ოთარ გაბელია.

მეორე ნახევარში „მერანს" რამდენიმე მომენტიც შეექმნა, თუმცა ამით სტუმრებმა ვერ იხეირეს. „დინამომ" კი რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელა და ერთ-ერთი მათგანი შედეგიანადაც დასრულდა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოს შესრულება ვიტალი დარასელიამ ითავა და... ასეთი გოლი ქართველებს თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობით თუ გაუტანიათ.

თამაშიც აქ დასრულდა. „მერანი" დაილალა, „დინამომ" კი ზედმეტად თავი არ აიტკივა და ივო შუშაკის ხელში პირველად გალიდერდა საქართველოს ჩემპიონატში...

„ლიბერეცთან" კი სხვა „დინამოს" ველით — უფრო აგრესიულს, შეკრულს და გამარჯვებისთვის შემართულს.

**ივო შუშაკი:** „მე არასოდეს მითქვამს ბიჭებისთვის, რომ მათ ძალები შეინახონ და თავი არ დაიტვირთონ. ეს გამორიცხულია. დღეს ხარვეზები კი იყო ჩვენს თამაშში, მაგრამ ჩემი ფეხბურთელებით მაინც კმაყოფილი ვარ. უბრალოდ, მათ ვერ აუკრძალავდი „ლიბერეცთან" მატჩზე არ ეფიქრათ და ამანაც თამაშის ხარისხს თავისი დაღი დაამჩნია. ჩეხებთან კი მთლიანად დავიხარჯებით ჩვენს მოგებას, ალბათ, მთელი საქართველო ელის და ვეცდებით, იმედები არ გავაწბილოთ".

# თემურის სიონი თემურის დაბადების დღეზე

ბოლნისი. 28 სექტემბერი. 17 საათი. თემურ სტეფანიას სტადიონი. 1 200 (ტევადობა 3 000)

## სიონი 2:1 გორდა

0:1 ზ. ლაბაძე (16), 1:1 გოდერძიშვილი (68პ), 2:1 ბაქრაძე (80)

**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, ბაქრაძე, ზ. ცქიფურიშვილი, გ. ჩხაიძე (კრავეიშვილი 67), კვაჭაკორი, გაბისკირია, მოსეშვილი (დაუშვილი 57), გოდერძიშვილი, გიორგი ქორიძე, ისიანი (შავგულიძე 46)
სათადარიგონი: ბათიაშვილი, ხუტუა, კაციაშვილი, გოგიტაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

**გორდა:** ბედიაშვილი, თავბერიძე, პაპაშვილი, ზვ. ლაბაძე, ზაზაშვილი, კ. ალადაშვილი, ბუკია (ჩოხელი 46), მიქავა (სოხაძე 51), ჯელაძე, ზ. ლაბაძე (ქურაშვილი 80), გოცირიძე
სათადარიგო: ჩლაიძე
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

გაფრთხილება: კვაჭაკორი (81)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. შილაჩავა

ჯარიმა: 7-18; კუთხური: 7-2; კარისკენ დარტყმა: 10-4; კარში დარტყმა: 11-3; თამაშგარე: 7-13

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ბოლნისური სარბიელი** ტრაგიკულად დაღუპული უნიჭიერესი მეკარის, თემურ სტეფანიას სახელობისაა. 28 სექტემბერი სტეფანიას დაბადების დღე იყო... დღეს ჩვენი წაგება არ შეიძლება, სტეფანიას ხსოვნას „სიონი" მოგებით მიაგებს პატივსო, გვითხრა მატჩის წინ თავისიანთა წარმატებაში დარწმუნებულმა ერთ-ერთმა ხანშიშესულმა ბოლნისელმა ქომაგმა და ასეც მოხდა.

მასპინძლებმა გაიმარჯვეს, ოღონდ დიდი ძალისხმევის ფასად. რაღა თქმა უნდა, ფავორიტი თემურ მახარაძის გუნდი იყო, მაგრამ ზურაბ ლაბაძის ნაადრევმა გოლმა დიდი ინტრიგა შესძინა მატჩს. ლაბაძემ მართლაც ჩინებული გოლი გაიტანა. ზურამ აუტის ხაზის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმიდან ბოლნისელთა კარის შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი. ისეთი ეფექტური გოლი იყო, თვით თემურ ვოლკოვმაც ტაში დაუკრა მეტოქეს. ეს იყო და, სადღაც გაქრა ბოლნისელთა თავდაჯერება. მასპინძლებმა იგრძნეს, რომ შემადგენლობაშეთხელებულ და ფინანსურ კრიზისში მყოფ რუსთაველებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. ამიტომაც იყო, სადებიუტო სამფორვარდიანი შემტევი ტაქტიკური განლაგებიდან 3-5-2-ზე რომ გადაეწყვნენ მახარაძის ბიჭები და ნახევარდაცვაში უპირატესობის მოპოვებით შეეცადნენ ანგარიშის შეცვლას.

გამოცდილი იური გაბისკირია უშეცდომოდ დირიჟორობდა თანაგუნდელებს. მისი გამოზომილი პასებით ქორიძეს და გოდერძიშვილს არაერთი საგოლე შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ანგარიშის გათანაბრება შეეძლო მოსეშვილსაც, 39-ე წუთზე პირისპირ რომ შეუხვდა ბედიაშვილს, მაგრამ რუსთაველთა ახალგაზრდა მეკარემ იყოჩაღა. წუთის მერე ორ მეურვესთან ბრძოლამოგებული ქორიძეც ბედიაშვილის პირისპირ დარჩა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

„გორდამ" მეტოქის საპირველტაიმო დაწოლას გაუძლო, მაგრამ ამან დიდი ენერგია წაართვა რუსთაველებს და მეორე ტაიმში საგრძნობლად დაღლილნი გავიდნენ სტუმრები სათამაშოდ. მიუხედავად ამისა, „სიონი" ისე უკანმოუხედავად აწყდებოდა თავდაჯერებული ბედიაშვილის კარს, რომ რუსთაველებს რამდენჯერმე ხელსაყრელი კონტრშეტევის შანსი მიეცათ და გოცირიძეს და ჩოხელს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, მასპინძელთა გამარჯვების შანსს მიზერულს გახდიდნენ.

„სიონის" თამაში შეცვლაზე შესულმა შავგულიძემ და დაუშვილმა გამოაცოცხლეს. სწორედ შავგულიძის ოცმეტრიანმა დრიბლინგმა მოუტანა ბოლნისელებს ანგარიშის გათანაბრების შანსი. 67-ე წუთი იყო, შავგულიძემ სამ რუსთაველს რომ ჩაუქროლა. მეოთხემ იგი საჯარიმოში წააქცია და გოდერძიშვილმა პენალტით შანსი არ დაუტოვა ბედიაშვილს — 1:1.

„სიონს" დიდი დრო ჰქონდა დაღლილ სტუმართა გასატეხად. „გორდამ" მე-80 წუთამდე გაძლო. არადა, რუსთაველებს ცოტა ყურადღება რომ გამოეჩინათ, ვერც გაეტანათ აწერვიულებულ მასპინძლებს. თავად განსაჯეთ, შეტევაში ჩართულმა ბაქრაძემ ისე მიაღწია სტუმართა საჯარიმოს, რომ ერთმა რუსთაველმაც ვერ შეუშალა ხელი, მანაც დარტყმა გადაწყვიტა და ბედიაშვილს ცხრიანში ჩაუსვა ბურთი.

„სიონს" მერეც შეეძლო გაეტანა: 85-ე წუთზე ბედიაშვილი ქორიძესთან ბრძოლას გადაჰყვა და გოდერძიშვილი ცარიელი კარის წინ დარჩა, მაგრამ მის დარტყმულ ბურთს კარის ხაზთან თავბერიძემ ჩაუსწრო.

მატჩის დასრულებამდე ერთხელ კიდევ ამოიგმინა ბოლნისელმა ქომაგმა, მასპინძლებს ლამის ხელიდან გაუფრინდათ გამარჯვება — ვოლკოვმა თავგანწირული ნახტომით „ცხრიანიდან" გამოაძრო ზვიად ლაბაძის დარტყმული. ცხონებული სტეფანიას სტილში გაფრინდაო, ერთხმად თქვეს ამ ეპიზოდისას ჩემს გვერდით მყოფმა ბოლნისელებმა...

# გურჯაანში ფეხბურთის აჩრდილმა გაიარა

გურჯაანი. 28 სექტემბერი. 17 საათი. ფაზისი ზიფზიანი. 200 (ტევადობა 10 000)

## მილანი 0:0 ბათუმი

**მილანი:** მამალაძე, ტარუღაშვილი, გუობია, მ. სამხარაძე, მეტრეიძე, შელეგია (ლამაზაძე 71), ვართაგავა (ლულუნაძე 76), ქალიაშვილი (დანელია 57), ქარჩავა, ჯაბუა, გაბუნდავა
სათადარიგონი: ასლანიძე, ეგაძე, დოლიაშვილი, ცაავაშვილი
მწვრთნელი: ბერდია გვენცაძე

**ბათუმი:** ტოგონიძე, ჩიჩუა, არჩვაძე, მინდაძე, თურმანიძე, კობიძე, ქაცარავა, მახარაძე, რომანაძე (კუჭუხიძე 89), დარჩიძე (გალოგრე 88), ბეჟანიძე (სულეიმანიძე 68)
სათადარიგო: ი. ბალაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: დარჩიძე (19), არჩვაძე (23), მინდაძე (67), ჯაბუა (70), ქარჩავა (76), არჩვაძე (80), ქაცარავა (90)

გაძევება: არჩვაძე (80)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მჭედლიშვილი (თბილისი); ჯ. ხუბაშვილი (ქობულეთი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 17-18; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 9-3; კარში დარტყმა: 9-6; თამაშგარე: 6-4

**მამუკა კვანტალიანი გურჯაანიდან**

**ნამატჩევს** კახური „მილანის" დამრიგებელი ბერდია გვენცაძე რომ ვერ მოვიხელთეთ, კომენტარი „ბათუმის" თავკაც ასლან ბალაძეს ვთხოვეთ. სტუმართა მწვრთნელიც, ტრადიციულად, გულღიად გვესაუბრა. ჩვენი მინი-პრესკონფერენცია ღია ცის ქვეშ შედგა. ალბათ, გურჯაანში საამისოდ ცალკე ოთახი არც არსებობს.

„ფეხბურთი? მე დღეს მსგავსი არაფერი მინახავს. არ ვიცი, რა დავარქვა ორივე გუნდის დღევანდელ ნამოქმედარს — „ბათუმის" თვითკრიტიკული თავკაცი თავისი გუნდის გასაჭირზეც ჰყვებოდა — ძირითადის ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა, გურჯაანში 15 მოთამაშით ჩამოვედით, რამდენიმე პირველად დავაყენე ძირითადში, ხოლო დარჩიძე სულაც შეუძლოდ მყოფი თამაშობდა. „ბათუმი", ფაქტობრივად, მოუმზადებელი გუნდია, ჩემპიონატი 3 აგვისტოს დაიწყო, ჩვენ კი პირველში შევიკრიბეთ. პრობლემის თავიდათავიც ეს არის."

„ბათუმის" გასაჭირი ბევრისთვის აქამდეც ცნობილი იყო, უმაღლესში მაინცდამაინც არც „მილანი" წყვეტდა ცადან ვარსკვლავებს, მაგრამ დანარჩენთაგან ბრძოლისუნარიანობა გამოარჩევდა. მაშათს კი...

სტუმარ-მასპინძელთაგან გურჯაანში სულ 28 ფეხბურთელმა სცადა ბედი, ამათგან კი მხოლოდ ორის გამორჩევა თუ შეიძლება. მეკარეები — ნიკა ტოგონიძე და ზურაბ მამალაძე უშეცდომოდ თამაშობდნენ. ბათუმელისთვის გოლი თავის დროზე იტალიის ნაკრებს ვერ გაუტანია და კახური „მილანი" რას დააკლებდა. მამალაძე კი ქვეყნის ერთ-ერთი პერსპექტიული მეკარეა და თავი გამოიჩინა, რა გასაკვირია.

უამრავი შეცდომისა და სიზანტის ფონზე ორივე კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა. დაწინაურების მეტი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ ტოგონიძეს რაც აცილეს, კარსაც გადასცდა. საწყის წუთებში ორჯერ გაბელავას შექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ვერ ივარგა. მერე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს კახელებმა და ტრიბუნაზე შეკრებილი ორასიოდე ქომაგიც აფრიამულდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ალტაცების შეძახილები გინებით შეიცვალა — სამხარაძემ ბურთი პენალტის ნიშნულზე გაასწორა, უკან დაიხია და წინ უცნაურად, ზიგზაგით დაიძრა. ტოგონიძე მარცხნივ გადაიხარა, თუმცა შუაში დარტყმულს ფეხით შესწვდა და თანაგუნდელთა მადლობაც დაიმსახურა.

პირველ ტაიმშივე „ბათუმსაც" შეეძლო გატანა, მაგრამ მახარაძის და რომანაძის ზედიზედ ძლიერად დარტყმულებს მამალაძე გადაელობა.

მეორე ტაიმში „მილანი" თითქოს უპირატესობას ფლობდა, სტუმრებმა ორჯერ კარიდანაც გამოიტანეს ბურთი, მაგრამ მასპინძლებს სიმწყობრე აკლდათ და გამოცდილმა სტუმარმაც ნელ-ნელა გალია სათამაშო დრო.

ბოლო ათ წუთში კახელებმა ვერც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს. დროის გაყვანის მცდელობისთვის ფანიაშვილმა არჩვაძე მეორედ გააყვითლა და გასახდელში გაუშვა.

სტუმრები პატარა საფეხბურთო ემზაკობისთვის დასჯას მართლაც იმსახურებდნენ, მაგრამ იმ მომენტში, ჩემი აზრით, არჩვაძეს არ მიუძღოდა ბრალი — მსაჯმა მასპინძლები შეტევაში დააჯარიმა. არჩვაძე ბურთის დარტყმას აყოვნებდა, რადგან მისგან ორიოდე მეტრში მილანელი იდგა. ფანიაშვილმაც გადაწყვეტილება მიიღო და სტუმარი გააძევა.

ალბათ, მომდევნო ტურებში „მილანი" იხევ იქცევა მებრძოლ და თავგანწირულ გუნდად, „ბათუმიც" შეეცდება, დაკარგული აინაზღაუროს, მათ ხომ გამოცდილებაც ზურგს უმაგრებთ, მაგრამ შაბათს, ნამატჩევს, გურჯაანში შეკრებილ ქომაგს ერთიღა ჰქონდა საკითხავი, სპორტის რომელ სახეობას ვუცქირეთ საათნახევარსო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 7 | 1 | 0 | 16:1 | 22 |
| ტორპედო | 9 | 6 | 1 | 2 | 15:4 | 19 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 16 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:11 | 13 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:10 | 13 |
| მერანი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:15 | 8 |
| მილანი | 9 | 1 | 3 | 5 | 3:13 | 6 |
| დილა | 9 | 1 | 2 | 6 | 3:12 | 5 |
| ბათუმი | 9 | 0 | 5 | 4 | 3:7 | 5 |
| გორდა | 9 | 1 | 0 | 8 | 3:16 | 3 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩამოერთვათ 0:3 წაგება

# ინგლისი

## პრემიერლიგა. VIII ტური

### ბირმინგემი 0:2 ნიუკასლი

0:1 სოლანო (34), 0:2 ამეობი (90)
ბირმინგემი: ვესენი, კენა, პარსი (ა. პოული 79), კანინგემი, კარტერი (კიროვსკი 68), დევლინი, სევიჯი, ა. ხისე, დ. ჯონსონი, მორისონი, ჯონი (მორისვილდი 79)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, სოლანო (ჯენასი 79), დაიერი, სპიდი, რობერი (ვიანა 88), შირერი, ლუა ლუა (ამეობი 79)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: სევიჯი, პარსი, ხისე
მსაჯი: ბენეტი
29 072 მაყურებელი

### ბოლტონი 1:1 საუთჰემპტონი

0:1 ბრიჯი (82), 1:1 ჯონკაიეფი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნენი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ფრანდსენი, კემბე, ფარელი (პედერსენი 78), ჯონკაიეფი, რიკეტსი, დ. ჰოლდსვორთი (ოკოჩა 78)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
საუთჰემპტონი: ნიემი, დელაპი, ლუნდეკვამი, ა. სვენსონი, ბრიჯი, ტელფერი, მაიკლ სვენსონი, ოკლი (ორმეროდი 76), მარსდენი, ტესემი (ბიტი 66), ფერნანდესი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ბერნენი
მსაჯი: რენი
22 692 მაყურებელი

### ჩარლტონი 1:3 მანჩესტერი

1:0 იენსენი (43), 1:1 სქოულზი (54), 1:2 გიგზი (83), 1:3 ვან ნისტელროი (90)
ჩარლტონი: დ. კილი, ლ. იანგი (ჯ. ფორტსონი 86), რუფუსი, ფორტიუნი, კ. პაუელი, ჯ. რობინსონი, მასტო (კიშიშევი 87), კ. იენსენი, კონჩესკი, იუელი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერი: ბარტჰეზი, ო'ში, რ. ფერდინანდი, ბლანი, ფ. ნევილი, ბექჰემი, ბატი (გ. ნევილი 69), სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი, ფორლანი (ვან ნისტელროი 56)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მასტო, რობინსონი, ფორლანი, ბექჰემი, ფ. ნევილი
მსაჯი: გალაჰერი
26 630 მაყურებელი

### ჩელსი 2:3 ვესტ ჰემი

1:0 ჰასელბაინკი (21), 1:1 დეფო (40), 1:2 დი კანიო (48), 2:2 ძოლა (74), 2:3 დი კანიო (84)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ჰასი, სტანიჩი, გრონკიაერი, ლამპარდი, ჯ. მორისი, ზენდენი (ძოლა 63), გუდიონსენი, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეპკა, ბრინი, შიმელი, მინტო, ტ. სინკლერი, კარიკი, ლომასი, ჯ. კოული, დი კანიო (გ. სისე 87), კანი (დეფო 4)
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: ჰასი, რეპკა, მინტო, ლომასი, შიმელი
მსაჯი: დანი
38 929 მაყურებელი

### ევერტონი 2:0 ფულემი

1:0 გრაველსენი (44), 2:0 კემპბელი (45)
ევერტონი: რ. რაიტი, პისტონე, ვეირი, იობო, ანსუორთი, კარსლი, ტი, გრაველსენი, პემბრიჯი, კ. კემპბელი, რადზინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ნიითი, გოში (ჰეიუორდი 27), გოშ, მალბრანკი, ინამოტო (ბოა მორტე 55), ლეგვინსკი, შ. დევისი, ჰელგსონი (საჰა 60), მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ანსუორთი, გოში, ჰელგსონი, მელვილი
მსაჯი: დანი
34 371 მაყურებელი

### ლიდსი 1:4 არსენალი

0:1 კანუ (9), 0:2 ტურე (20), 0:3 ანრი (47), 1:3 კიუელი (84), 1:4 კანუ (86)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე (დაბერი 90), მატეო, მილსი, ბოიერი, ბაკე, დაკური (მაკფაილი 46), კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, კ. ტურე (ლუზინი 72), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი (პენანტი 79), ანრი, კანუ (ჯეფერსი 88)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სმიტი, დაკური, ბაკე, ბოიერი, ვიეირა, კემპბელი

მსაჯი: უაილი
40 199 მაყურებელი

### მანჩესტერ სიტი 0:3 ლივერპული

0:1, 0:2, 0:3 ოუენი (4, 64, 89)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჯენსი, ჰოუი (კ. შუკერი 70), დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბერკოვიჩი, ფოუ, ჰორლოკი, ნ. იენსენი, ანელკა, ჰაკრაბი (გოტერი 61)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ტრაორე, რიისე, დ. მერფი, ჯერარდი (დიაო 90), ჰამანი, ბაროში (დიუფი 59), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მსაჯი: დარკინი
35 131 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 ასტონ ვილა

1:0 ბელიონი (70)
სანდერლენდი: სორენსენი, ს. რაიტი (დ. უილიამსი 32), კრადოკი, ბები, კილბეინი, მაკერი, კ. რეინი, გ. მაკკანი, არკა, ფლო (ქუინი 69), ბელიონი (მ. სტიუარტი 78)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, სტონტონი, იონსენი, დიბლინი (დე ლა კრუზი 77), ბარი, ლ. ჰენდრი, კინსელა (ლეონჰარდსენი 86), ჯ. სამუელი, დუბლინი (კრუში 86), ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: რეინი, მაკკანი, სტიუარტი, სტონტონი, დუბლინი, ჰენდრი
მსაჯი: ბერი
40 492 მაყურებელი

### ტოტენჰემი 0:3 მიდლსბრო

0:1 მაკარონე (33), 0:2 ჯუნინიო (66), 0:3 ჟობი (68)
ტოტენჰემი: კელერი, რიჩარდსი, ტეილორი, ცოკაი (დობერტი 12), ბუნიევიჩი, რედნაპი, ეთერინგტონი, ს. დევისი, იევერსენი (აჩიამპონგი 67), ლ. ფერდინანდი (შერინგემი 46), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, კუპერი, ერეჰოუ, საუთგეიტი, გრინინგი, ჯუნინიო, ჟობი, ბოატენგი (უილნისი 84), მაკარონე, ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: დევისი, კუპერი
მსაჯი: პოლი
36 082 მაყურებელი

### ვესტ ბრომვიჩი — ბლეკბერნი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

# მფრინავი ზარბაზნები


REUTERS

ლიდსი — არსენალი. ლი ბოიერის დარტყმა ეფექტური კი იყო, მაგრამ სახეირო არაფერი მოუტანია

**ახლა** ისეთი დღეები დგას, რომ ლონდონის „არსენალს" სხვა უფრო დიდი ზარბაზანი თუ გაჩერებს. უფრო დიდი ზარბაზანი კი ამ შემოდგომაზე ინგლისში ნამდვილად არ არის და ევროპაშიც ერთი-ორი თუ მოიძებნება. მეთოფეებს ყველგან თავიანთი თოფხანა გაუმართავთ: ორი ნაბიჯით გადადიან მოედანს, ბურთი ძირითადად დაუცველ კარში გააქვთ, თავს ჯანითა და სამის ერთზე მისვლით, მოულოდნელად იცავენ და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ თითქოს ყველაზე ორჯერ უფრო სწრაფები, ორჯერ უფრო ტექნიკურები და ორჯერ უფრო ჯანიანები არიან.

ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაღრმავდა ლიდსში, სადაც უკვე მეორე წუთზე „არსენალს" საქმე მოთავებული ჰქონდა ეფექტური დასაწყისის წყალობით, „ლიდსმა" კი მთელი ტაიმის განმავლობაში სამი პასი ვერ გადაება ერთმანეთს.

„მეთოფეებმა" უსწრაფესად დაიწყეს მეორე ტაიმიც და მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევის დროს ჩაჭრილი ბურთი ათ (!) წამში მესამე გოლად აქციეს. მერე იყო ბლეარძენი, ალან სმიტის ძელსმოხვედრილი თავური, ჰარი კიუელის როგორც იქნა შეხვედრილი ერთი საპასუხო და კვლავ „არსენალის" სისწრაფე, რასაც კიუელის გოლისთანავე მოჰყვა მეორე.

მწვრთნელი არსენ ვენგერი შეხარის თავის გუნდს: „ის უკეთესი და უკეთესია. ისინი დიდი ძალმოსილებით და გამარჯვების რწმენით თამაშობენ. ეს ჩემპიონთა რწმენაა. როცა ასე უგებ ისეთ გუნდს, როგორიც „ლიდსია", ცხადია, თვალი ტიტულებისკენ გიჭირავს."

„არსენალი" დაახაც, რომ ლიდერია, მაგრამ არც ისე უკანმოუხედავი. მას ორი ქულით ჩამორჩება „ლივერპული", რომელმაც „მეინ როუდზე" დასცა „სიტი". მთელს ერთ საათს სტუმრები ერთი ბურთით იგებდნენ და ნიკოლა ანელკას შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ხიტელთა ჯანი ამ საქმეს არ ეყო. მაიკლ ოუენმა კი წერტილი დაუსვა უიღბლო დღეებს — სამივე ბურთი მან გაიტანა და სულ სხვადასხვანაირად: კიდეც შეხიტა, კიდეც ჩააჭედა და ბოლოს ნახევარი მოედანიც გადაირბინა მესამე გოლის შესასრულებლად.

ამასობაში კი ლიდერთა სამეულში შეიჭრა სტივ მაკლარენის „მიდლსბრო", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ტოტენჰემი". ეს ტურის ყველაზე მოულოდნელი შედეგი იყო, „ბოროს" თავკაცმა კი თქვა: „ყველაფერი გამოგვივიდა. თუმცა, ეს თავისით არ მოსულა, მძიმე შრომამ მოიტანა."

ლიდერებს მოუკლდა „მანჩესტერიც", რომელმაც პირველი ტაიმი წააგო ჩარლტონში — კლაუს იენსენმა ლამაზად ჩაუხვია, მაგრამ, როგორც სერ ალექსმა თქვა: „პირველი ტაიმი პინგ-პონგი იყო, მეორეში კი საქმეს მივხედეთ." ფეხის მოშუშება გოლით აღნიშნა პოლ სქოულზმა, გიგზმა და ვან ნისტელროიმ კი ჩარლტონელებს ყველაფერი გაურკვია.

წინა ტურში თუ მასპინძლები იგებდნენ, ამ ტურში ერთბაშად ექვსმა სტუმარმა იმარჯვა. თუმცა ეს სტუმრები, ძირითადად წინა ტურის მასპინძლები იყვნენ. საშინაო გამარჯვებებიდან კი საინტერესო იყო „ევერტონის" თავზე ხელაღებული შტურმი პირველი ტაიმის მიწურულს და „ფულემის" კარში წუთნახევარში გატანილი ორი გოლი, ასევე „სანდერლენდის" ბრძოლა „ასტონ ვილას" წინააღმდეგ საკუთარი მწვრთნელის, პიტერ რიდის გადასარჩენად.

„სტამფორდ ბრიჯზე" კი კვლავ გაიბრწყინა პაოლო დი კანიოს უკვდავმა ნიჭმა. „ჩელსის" აქამდე არ წაეგო, „ვესტ ჰემს" კი არ მოეგო. 3:2, ეს ტევადი ანგარიში, ორივე გუნდისთვის მეტად ჩვეული ამ სეზონში, ამჯერად „ვესტ ჰემის" სასარგებლოდ აღინიშნა. ყოველივეს თავიდათავი კი პაოლო დი კანიო იყო, რომელიც ვერაფრით დააკავეს ჩელსელმა მცველებმა.

სტუმრებს თამაშის დასაწყისშივე დაუშავდათ ფრედერიკ კანო, მაგრამ შეცვლა იღბლიანი გამოდგა: სწორედ ჯერმენ დეფომ გაათანაბრა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის პენალტი პირველ ტაიმში. მეორე ტაიმის დასაწყისში დი კანიომ ბურთი აიგდო და ისეთი დასცხო, რომ მეკარე კუდიჩინი პირღია დარჩა. ოცდახუთ წუთში ჯანფრანკო ძოლამ საჯარიმო დარტყმა ჩაუსვა დევიდ ჯეიმსს და „ჩელსის" იმედი დაუბრუნდა. თამაშის დასასრულამდე ხუთიოდე წუთი რჩებოდა, როცა დი კანიომ კვლავ ჩაიდინა ჯადოსნობა და სტუმრებმაც გაიმარჯვეს.

„ის ყველას უყვარს — თქვა „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა გლენ როედერმა — კარიერაში ასე დიდხანს არსად გაჩერებულა. ამიტომ, მასაც უყვარს ჩვენი კლუბი. პაოლოს ბობოქარი ხასიათი აქვს, მაგრამ უნდა გავუგოთ, ის ხომ შეუდარებელი პროფესიონალია."

**ირაკლი ბაგრატიონ-ბაგრატიონ-გიშიანი**

## I დივიზიონი. XI ტური

### იფსვიჩი 0:1 დერბი ქაუნთი

0:1 კარბონარი (45)
დერბი ქაუნთი: პოომი, ბარტონი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, კარბონარი, ბოერტიენი, ბოლდერი, ლი, მორისი, კრისპი (ევანსი 90), მაკლარენი
მიორინო ძინძლაძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
24 439 მაყურებელი

### ბრაიტონი 1:2 გრიმსბი

0:1 ბერნარდი (2), 1:1 ზამორა (71), 1:2 ბუტონი (80)

### ბარნსლი 1:0 უიმბლდონი

1:0 ლიტლი (61)

### ქოვენტრი 2:3 მილუოლი

1:0 მაკშეფრი (31), 1:1 კ. დევისი (38), 2:1 მილსი (45), 2:2 კინეტი (60), 2:3 ჰარისი (85)

### ლესტერი 1:0 ვულვერჰემპტონი

1:0 დიკოვი (63)

### ნოტინგემი 3:2 როტერჰემი

1:0 დ. ჯონსონი (3), 2:0 ბოპი (18), 3:0 დ. ჯონსონი (39), 3:1 ბარკერი (44), 3:2 ბიფილდი (69)

### პორტსმუთი 3:0 ბრედფორდი

1:0 ქუოში (17), 2:0 პერიკარი (21), 3:0 ქუოში (58)

### პრესტონი 1:2 ნორვიჩი

0:1 დ. ნილსენი (35), 1:1 კრესველი (52), 1:2 მაკვეიგი (54)

### რედინგი 1:1 სტოკი

1:0 რუდი (11), 1:1 ვანდეურზენი (39)

### შეფილდ იუნ. 1:2 უოტფორდი

1:0 ელისონი (10), 1:1 კუქსი (36...), 1:2 ჰელგუსონი (37)

### უოლსოლი 1:0 შეფილდ უენსდი

1:0 სიმპსონი (45)

### კრისტალ პალასი 2:2 ჯილინგემი

0:1 პერპეტუინი (23), 1:1 გრეჯილი (47), 1:2 იპუა (66), 2:2 რუტლეჯი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 11 | 9 | 1 | 1 | 25:8 | 28 |
| ლესტერი | 11 | 8 | 2 | 1 | 19:10 | 26 |
| ნორვიჩი | 11 | 7 | 3 | 1 | 21:7 | 24 |
| ნოტინგემი | 11 | 6 | 2 | 3 | 22:12 | 20 |
| როტერჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:14 | 18 |
| შეფილდი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 18 |
| ქოვენტრი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:15 | 18 |
| უოტფორდი | 11 | 5 | 3 | 3 | 17:18 | 18 |
| დერბი ქაუნთი | 11 | 5 | 0 | 6 | 13:15 | 15 |
| ჯილინგემი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 |
| ვულვზი | 10 | 4 | 2 | 4 | 20:13 | 14 |
| რედინგი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:12 | 14 |
| ბრედფორდი | 11 | 3 | 5 | 3 | 12:16 | 14 |
| სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 13 |
| უოლსოლი | 11 | 4 | 1 | 6 | 13:16 | 13 |
| კრისტალ პალასი | 11 | 2 | 6 | 3 | 14:14 | 12 |
| პრესტონი | 11 | 2 | 6 | 3 | 14:17 | 12 |
| ბარნსლი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:16 | 12 |
| მილუოლი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:19 | 12 |
| უიმბლდონი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:17 | 10 |
| იფსვიჩი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:8 | 9 |
| უენსდი | 11 | 1 | 6 | 4 | 9:14 | 9 |
| გრიმსბი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:18 | 5 |
| ბრაიტონი | 11 | 1 | 1 | 9 | 9:20 | 4 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | 13 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:4 | 7 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 8 |
| 2 ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 18:8 | 10 | 18 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 |
| 3 მიდლსბრო | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 6 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 4 |
| 4 მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 5 ჩელსი | 8 | 3 | 4 | 1 | 15:11 | 4 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 8 |
| 6 ტოტენჰემი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | -1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 |
| 7 ლიდსი | 8 | 4 | 0 | 4 | 11:9 | 2 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 6 |
| 8 ფულემი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 |
| 9 ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 10 ნიუკასლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 11 ბლეკბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 12 ასტონ ვილა | 8 | 3 | 0 | 5 | 6:9 | -3 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | -6 | 0 |
| 13 ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 3 |
| 14 ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 15 სითი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 16 სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 |
| 17 ბოლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 18 საუთჰემპტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:8 | -4 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 |
| 19 ჩარლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | -7 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 20 ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | -7 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | -4 | 3 |

### IX ტური

5-6-7 ოქტომბერი

არსენალი — სანდერლენდი
ვესტ ჰემი — ბირმინგემი
ფულემი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ბოლტონი
ნიუკასლი — ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი — მანჩესტერ სითი
ბლეკბერნი — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — ლიდსი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერი — ევერტონი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვილტორდი (არსენალი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| ძოლა (ჩელსი) | 6 |
| კ. კემპბელი (ევერტონი) | 5 |

## მეორე დივიზიონი

X-XI ტური: ბარნსლი — უიგანი 1:3; კარდიფი — ქრიუ 2:1; ჩელტენემი — ნოტსი 1:4; ჩესტერფილდი — ბლეკპული 1:0; ლუტონი — სუინდონი 3:0; ნორთჰემპტონი — მენსფილდი 2:0; ოლდემი — ჰადერსფილდი 4:0; პიტერბორო — ბრენტფორდი 5:1; პორტ ვეილი — ბრისტოლი 2:3; ქუინზ პარკი — კოლჩესტერი 2:0; ტრანმერი — სტოკპორტი 1:0; უიკომბი — პლიმუთი 2:1

## მესამე დივიზიონი

X-XI ტური: ბოსტონი — კემბრიჯი 1:3; ბორნმუთი — კარლაილი 3:1; როშდეილი — კიდერმინსტერი 1:2; ჰარტლპული — რაშდენი 1:2; ჰალი — სუონსი 1:1; ლეიტონი — დარლინგტონი 2:1; როჩდეილი — მაკლსფილდი 3:1; სკანთორპი — შრუსბერი 1:1; საუთენდი — ექსეტერი 1:0; ტორკი — ლინკოლნი 0:0; რექსემი — ბერი 2:2; იორკი — ოქსფორდი 0:1

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VII ტური

**ლევერკუზენი 2:1 ბაიერნი**

1:0 ლუსიო (8), 2:0 ბიროფკა (63), 2:1 სალიჰამიჯიჩი (89)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, რამელო, ლუსიო, ფოჯკოვიჩი, ოჯიგვე, ბალიტში, ბ. შნაიდერი (ფრანციში 84), ბაბიჩი, ბაშთურქი (შიმაკი 90), ნოიველი (ბიროფკა 60), ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ბაიერნი: კანი, რ. კოვაჩი, იერემისი (ელბერი 46), თ. ლინკე, ტიამი (ფოილნერი 73), ჰარგრივსი (ტარნატი 46), ნ. კოვაჩი, ბალაკი, სალიჰამიჯიჩი, ზე რობერტო, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ფოჯკოვიჩი, ბრდარიჩი, შნაიდერი, იერემისი, ბრდარიჩი, ოჯიგვე, კანი, რ. კოვაჩი, ბალაკი, ნ. კოვაჩი
გაძევება: ბრდარიჩი (37)
მსაჯი: კრუგი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:0 მიონხენგლადბახი**

1:0 ევერტონი (86)
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ვორნსი, დედე, შ. როიტერი (ფრინგსი 39), ჰაინრიხი, კელი, როსიცკი, ევანილსონი (ამოროზო 69), ევერტონი (მადუნი 88), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ვიტეჩეკი, კორელი, შტრასერი, მიუნხი, ჰაუსვაილერი, კლუგე (ოლეტში 79), ულიხი, აიდოო (სკუბა 72), ვან ჰუტი (კეტელაერი 88), ვან ჰუტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: როიტერი, შტრასერი, აიდოო, კლუგე, ვან ჰუტი
მსაჯი: კესლერი
68 600 მაყურებელი

**არმინია 2:1 შალკე**

1:0 ალბაირაქი (73), 1:1 ვარელა (19), 2:1 დიაბანგი (68)
არმინია: ჰაინი, მურავსკი, რაინჰარდტი, კოჩი, ალბაირაქი, დაბროვსკი, დამაიერი, ვიტა (პორჩელიო 82), ჩა (ბრინკმანი 46), ვიჩნიარეკი, დიაბანგი (ლუნსი 90)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფუისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, როდრიგესი (ტროიანი 76), პოულსენი, ასამოა (მატელანი 29), მიოლერი, ვარელა, ვილმოტსი (ჰანკე 76), სანდი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: კოჩი, ვიჩნიარეკი, რაინჰარდტი, პორჩელიო, ვიჩნიარეკი, ვან ჰოოგდალემი, როსტი, ჰაიტო
გაძევება: ვიჩნიარეკი (56)
მსაჯი: ვაინერი
26 601 მაყურებელი

**მიუნხენ 1860 1:0 ჰერტა**

1:0 შროტი (16)
მიუნხენ 1860: იენჩი, მაიერი, რაფაელი, კოშტა, ჩერნი, ჰოფმანი, კურცი (ბორიმიროვი 46), ვაისენბერგერი (პიურკი 76), ჰესლერი (შვარცი 70), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი, ვან ბურიკი, ჰარტმანი, მარქსი, დარდაი (პინტო 74), მარსელინიო, ნოიენდორფი (კარვანი 60), პრეცი (ლუიზაო 60), გოორი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: კურცი, ჰოფმანი, ჩერნი, მარსელინიო, ნოიენდორფი, პინტო
მსაჯი: გაგელმანი
25 200 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:2 შტუტგარტი**

0:1 ზაიცი (9), 1:1 რომეო (14), 2:1 ბარბარეზი (23), 2:2 გლეზი (26), 3:2 რომეო (86)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰერი, ჰოოგმა, იუფფალუში, უიჯი, კლინგი (კიციხლერი 80), მაჰდავიკია, ბარბარეზი (ლედესმა 88), რომეო, ბაინცი (მეიერი 67)
მწვრთნელი: კურტ იარა
შტუტგარტი: ტ. ერნსტი, რუი მარკეში (მაისნერი 46), ბორდონი, მეირა, ჰინკელი, კარნელი (ვენცელი 67), სოლდო, ზაიცი (ამანატიდისი 46), ბალაკოვი, გლეზი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფუკალი, კინგი, იუფფალუში, კარნელი, კურანი
მსაჯი: კემლინგი
36 740 მაყურებელი

**ჰანზა 1:2 ჰანოვერი**

1:0 ვიბრანი (10), 1:1 იდრისუ (32), 1:2 ბობიჩი (43)
ჰანზა: შობერი, ვიმერი (სალუ 79), იაკობსონი, კინცი, მაული, ადუბე, პერსონი (ჰანსენი 72), ვიბრანი, რიდლევიჩი, არვიდსონი (ვორბსი 46), პრიკა
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, კ. ლინკე, ზურავი, შულერი (შტეფული 24), ლალა, ხაიმე, კრუპნიკოვიჩი (ნერბერი 87), სტაინერი (შტენდელი 61), იდრისუ, ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ლალა, სივერსი
მსაჯი: ფრიოლიხი
19 000 მაყურებელი

**კოტბუსი 0:1 ვოლფსბურგი**

0:1 მარიჩი (65)
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ბეკა (მუჟოროვი 53), ბერჰალტერი (ლატუნდე 72), აკრაპოვიჩი, შროიტერი, ლიოვი, მირიუტა, კალუჟნი, რინკი (იუსკოვიაკი 65), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, მადსენი, შნოორი, რაუ, რიტერი, კარჰანი, ეფენბერგი, შარპეი, პონტე (დ. მუნტიანუ 76), ტ. მარიჩი (პრეგერი 85), კლიმოვიჩი (ბილიშკოვი 89)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: რინკი, შროიტერი, მარიჩი, პონტე, რაუ
მსაჯი: შტაინბორნი
11 606 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 სანე (69)
რატინიომ ვერ გაიტანა პენალტი (86, მეკარე)
ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, კოში, პოპოვიჩი, სანე, ფრაი (ნიკლი 70), ლარსენი, იაროლიმი, ლ. მიულერი, კაკაუ (დავიდი 30), ს. ჩირიჩი (დრილერი 83)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი (მიფსუდი 78), ჰენგენი, კნავსი, ბიელიცა (ტ. რიოტერი 65), რიდლი, გრამოზისი, ტებერი, დომინგუში (რატინიო 54), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: კოში, მიულერი, ბიელიცა, რიდლი
მსაჯი: მაიერი
30 200 მაყურებელი

**ბოხუმი 1:4 ვერდერი**

0:1 აილტონი (16), 1:1 ფრაიერი (22), 1:2 ხარისტეასი (37), 1:3 აილტონი (60), 1:4 კრსტაიჩი (87)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, ფ. ტაპალოვიჩი, ფარენჰორსტი (რაიზი 44), მანდრეკო, შინძელორცი, გუდიონსონი, ფრაიერი, ვოში (ჰაშემიანი 66), ბაკლი (გრაულუნდი 70), თ. კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოიროიტერი
ვერდერი: ბორელი, სტალტერი, ვერლაატი, კრსტაიჩი, სკრიპნიკი, ფ. ერნსტი, ბოროვსკი, რაიხი (დაუნი 68), ლისტესი, ხარისტეასი (კლასნიჩი 86), აილტონი (მანინი 90)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ფარენჰორსტი, ფრაიერი, კრსტაიჩი, სკრიპნიკი
მსაჯი: ფლაიშერი
26 171 მაყურებელი

# ათკაცა გერმანული თამაშია



REUTERS

ლევერკუზენი — ბაიერნი. ბორის ჟივკოვიჩმა ძველი ძმაკაცი ზე რობერტო გამოიჭირა და აღარ გაუშვა

**მეტამორფოზების** კაცი არ არის ოტმარ ჰიცფელდი. ყოველ შემთხვევაში მას ასეთად არავინ იცნობდა და რაც ამ სეზონში მოსდის „ბაიერნს", პირველ რიგში, ამის ბრალია — მწვრთნელმა გუნდის სათამაშო მოდელი შეცვალა და თავისას იმკის.

„ბაიერნი" ჯერაც ლიდერია, მაგრამ ბუნდესლიგაში მის არასტაბილურ თამაშს ჩემპიონთა ლიგაში სუსტ სტარტსაც თუ მივაყოლებთ, ნათელია, რომ ჰიცფელდს პრობლემები უხვად აქვს.

ბავარიელები აქამდე თამაშის არითმიულ, ჩაკეტილ და მკაცრ სტილს გვთავაზობდნენ, მაგრამ საამსეზონოდ მათ მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო იყიდეს. ჰოდა, ჰიცფელდმა კურსი შეცვალა — გუნდმა წინა სეზონში ვერაფერი მოიგო და ახლა ახლებურად იწევს დიდი მიზნებისკენ.

ვინძლო, ჰიცფელდს მეჰმეთ შოლის და სებასტიან დაისლერისაც ძალიან ეიმედებოდა, როცა „ბაიერნის" მეტამორფოზა განიზრახა, მაგრამ ამ დროისთვის ორივე ეს ფეხბურთელი ტრავმირებულია. არადა, აქტიური ფეხბურთისთვის შოლისა და დაისლერის ტიპის მოთამაშეები ერთიორად ფასობენ.

„ლევერკუზენმა" კი როგორც იქნა, მოიგო. თუ კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ამ სეზონში ფორტუნა გამუდმებით ზურგს აჩვენებდა, „ბაიერნთან" პირიქით მოხდა. თანაც, ბავარიელებმა რიცხობრივი უპირატესობაც ვერ გამოიყენეს — ათკაციანი „ბაიერისგან" მეორე გოლიც მიიღეს.

ლუსიომ 30 მეტრიდან ქვემეხ-ჯარიმა ტყვიაპა ოლივერ კანს, ხოლო დანიელ ბიროფკამ თავურით დაამწუხრა მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერი. ჰასან სალიჰამიჯიჩის გოლი კი „ბაიერნის" ბოლო ამოსუნთქვა იყო „ბაიარენაზე".

აქამდე სიმპათიური „ბოხუმი" ბოხუმშივე მიალამაზა ბრემენის „ვერდერმა". ჩრდილოელებმა ზედიზედ მეოთხე ბუნდესლიგური მატჩი მოიგეს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბუნდესსასალათისთვის საპორტო ქალაქმა იბრძოლოს — ბრემენელთა ყველაზე დიდი ოცნება, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის საგზურია.

„ბოხუმის" დარად წააგო სეზონის კიდევ ერთმა აღმოჩენამ — როსტოკის „ჰანზა" შინ მართლაც და მოულოდნელად დამარცხდა.

მოულოდნელობას კი სწორედ ის ამძაფრებს, რომ „ჰანზამ" ბუნდესლიგაში ახლად აღზევებულ „ჰანოვერთან" წააგო. იმ „ჰანოვერთან", რომელსაც ყველა მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებს. ჰანოვერელთაგან გოლები იმათმა გაიტანეს, ვისაც მართებდათ — ნიგერიელმა მოჰამადუ იდრისუმ და ფრედი ბობიჩმა.

მათიას ზამერის „დორტმუნდმა" ძალიან იჯახირა ჰანს მაიერის „გლადბახთან", მაგრამ მიწურულში ევერტონმა იყოჩაღა. დორტმუნდისა და მიონხენგლადბახის საფეხბურთო კლუბებმა პრუსიულ დერბიში — ორივეს ხომ „ბორუსია" ჰქვია, ბორუსია კი ლათინურად პრუსიას ნიშნავს — მართლაც შმაგად ირბინეს.

გაკვეთილი ჩაუტარეს „შალკეს". თურქმა შუახაზელმა ერჰან ალბაირაქმა თავისივე მონადირებული 11-მეტრიანით დააწინაურა „არმინია" — ოსმალოს სარმა ზანგმა გერმანელმა ჯერალდ ასამოამ გამოსდო. ურუგვაელი გუსტავო ვარელას პენალტი კი პოლანდიელმა ნილს უდე კამპუისმა მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ „არმინიამ" ლევერკუზენელთა დარად მეორე და გამარჯვების გოლი ათკაცამ გაიტანა.

„ჰამბურგმა" რომ „შტუტგარტს" სძლია, აქ საკვირველი არაფერია, მაგრამ ბერნარდო რომეოს რომ გოლი გოლზე გააქვს, ხუმრობა საქმე არაა.

კოტბუსში მოგებით შტეფან ეფენბერგის „ვოლფსბურგმა" სამი საფეხურით აიწია ცხრილში, ხოლო „ჰერტა" მიუნხენში წაგებით ამდენივე ნიშნულით ჩაცურდა.

ბითური „კაიზერსლაუტერნი" კი კვლავ ბოლოა.

**დავით თამართძილაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 8 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 |
| 2 | ვერდერი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:11 | 3 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 |
| 3 | დორტმუნდი | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 4 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 |
| 4 | ჰანზა | 7 | 4 | 0 | 3 | 11:6 | 5 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 |
| 5 | შალკე | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 6 | ბოხუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | 5 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 |
| 7 | მიუნხენი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 8 | ვოლფსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 9 | არმინია | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | -3 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:10 | -7 | 1 |
| 10 | ჰერტა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 4 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 5 |
| 11 | ჰამბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 12 | ნიურნბერგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 13 | გლადბახი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:6 | 1 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:1 | 3 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 14 | ლევერკუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:14 | -2 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 |
| 15 | შტუტგარტი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:10 | 0 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 |
| 16 | ჰანოვერი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | -4 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 6 |
| 17 | კოტბუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | -11 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | -5 | 3 |
| 18 | ლაუტერნი | 7 | 0 | 3 | 4 | 3:11 | -8 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |

**VIII ტური**

6 ოქტომბერი

ჰერტა — ნიურნბერგი
ვოლფსბურგი — ლევერკუზენი
ბაიერნი — ბოხუმი
ვერდერი — ჰანზა
ჰანოვერი — დორტმუნდი
გლადბახი — არმინია
შალკე — ჰამბურგი
შტუტგარტი — მიუნხენ 1860
ლაუტერნი — კოტბუსი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 6 |
| ელბერი (ბაიერნი) | 6 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 5 |

## მეორე ბუნდესლიგა

### VII ტური

**უნიონი 2:2 ფიურტი**

0:1 სურმანი (8), 0:2 რუმანი (28), 1:2 რისტიჩი (37), 2:2 იგავი (45)
გიორგი დემეტრაძე სათადარიგო იყო

**ბრაუნშვაიგი 1:1 კიოლნი**

1:0 მაზინგუ (9), 1:1 შარინგერი (54)
არჩილ არველაძე ტრავმირებულია

**ვალდჰოფი 2:5 ზანქტ პაული**

0:1 სტანისლავსკი (7), 0:2 ჩენ-იანგი (43), 1:2 კერნი (44), 2:2 კამუსი (50), 2:3, 2:4, 2:5 პატშინსკი (62, 65, 71)

**ალენი 2:2 კარლსრუე**

0:1 ჩეტინი (28), 1:1 ბელა (60), 2:1 ბაზბა (74), 2:2 როტენბახი (84)

**აინტრახტი 2:1 დუისბურგი**

1:0 გუდ-მიჩნი (19), 1:1 ებერი (25), 2:1 შურლი (90)

**ტრირი 4:1 ალემანია**

1:0 კევრიჩი (17პ), 2:0 ლაბაკი (42), 3:0 გრეშინსკი (48), 4:0 კევრიჩი (52პ), 4:1 ბაიოკი (76)

**ობერჰაუზენი 3:1 როიტლინგენი**

0:1 ბეკერი (23), 1:1 ლანგენაუ (54), 2:1 ბელაკოვი (73), 3:1 კარტუში (76)

**ლიუბეკი 3:1 ბურგჰაუზენი**

1:0 კულიგი (44), 2:0 ვასილევსკი (61), 2:1 ბროსბი (77), 3:1 ბართოლდი (86)

**მაინცი — ფრაიბურგი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრირი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:6 | 15 |
| აინტრახტი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 15 |
| ფრაიბურგი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| კიოლნი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:7 | 15 |
| ობერჰაუზენი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:4 | 13 |
| ლიუბეკი | 7 | 4 | 0 | 3 | 16:8 | 12 |
| მაინცი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 |
| უნიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:11 | 11 |
| ალენი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| ფიურტი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| როიტლინგენი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | 9 |
| ალემანია | 7 | 1 | 4 | 2 | 8:10 | 7 |
| დუისბურგი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:13 | 6 |
| ზანქტ პაული | 7 | 2 | 0 | 5 | 16:25 | 6 |
| ბრაუნშვაიგი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:19 | 4 |
| კარლსრუე | 7 | 0 | 3 | 4 | 3:11 | 3 |
| ვალდჰოფი | 7 | 1 | 0 | 6 | 8:18 | 3 |

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

9-10 ტური: ლევერკუზენი (მ) — ქემნიცი 2:0; პადერბორნი — ვერდერი (მ) 0:2; იურდინგენი — ბაბელსბერგი 1:0; ოსნაბრიუკი — დინამო 0:0; [illegible]

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

10-12 ტური: ზაარბრიუკენი — აინტრახტი (მ) [illegible]

# აბა, უფასო ბილეთი! ვან გაალმა ხალხი გააცინა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. IV ტური

**ვალენსია 3:0 რაიო ვალეკანო**

1:0 მისტა (34), 2:0 ბარახა (45პ), 3:0 ანგულო (86)

ვალენსია: კანიზარესი, პელეგრინო, ფ. ოურლიო, მარჩენა, კური ტორესი, ალბელდა, ბარახა (ხუან სანჩესი 70), რუფეტე, აიმარი (ანგულო 64), ვისენტე (დელოს სანტოსი 77), მისტა

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია (ოსკარი 56), დორადო, კორინო, გრაფი, პაბლო სანსი, ონოპკო, მარიო, მაიმი, ხულიო ალვარესი (ფ. მარკესი 66), პერაგონი (მიშელ 11), ბოლიჩი

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გაფრთხილება: ვისენტე, პელეგრინო, კური ტორესი, მაიმი, კორინო, პაბლო სანსი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

52 000 მაყურებელი

**ოსასუნა 2:3 სოსიედადი**

0:1 ნიჰატი (12), 1:1 პუნიალი (20პ), 2:1 რივერო (48), 2:2 ხაურეგი (49), 2:3 ხობლოვი (84)

ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, პაკო (ალონსო 57), კრუზადა, ვიდრიო, რივერო (ალდრიდი 71), ანტონიო ლოპესი, პუნიალი, პაბლო გარსია, განსედო, იგან როსადო

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი (ბორისი 83), ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (გაბილონდო 76), კარპინი, კოვაჩევიჩი (ხობლოვი 46), არანზუბია, ნიჰატი

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: ნიჰატი, ხობლოვი, განსედო

მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

18 530 მაყურებელი

**სელტა 2:2 მალაგა**

0:1 მუსამპა (16), 1:1 კატანია (26პ), 2:1 ბერიზო (39), 2:2 კასტრესი (44ს.გ.)

მოსტოვოიმ ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)

სელტა: კავალიერი, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო (ედუ 59), ლუქსენი (მაკარტი 79), გუსტავო ლოპესი (ედუ 32), კატანია, ხესული

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

მალაგა: კონტრერასი, რომეტა, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა, მიგელ ანხელი (რომერო 65), სანდრო (მანუ 65), დელი ვალდესი (ისნაიტი 79), დარიო სილვა

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ლუქსენი, ხოსემი, რომეტა, მიგელ ანხელი, მუსამპა

მსაჯი: პერეს ლასა

20 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:1 უელვა**

0:1 რაულ მოლინა (28), 1:1 ლუის გარსია (34)

ბერმუდოზ ვერ გაიტანა პენალტი (15, მეკარე)

ფერნანდო ტორესმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)

ატლეტიკო: ბურგოსი, ოტერო, ჰიბიჩი, სანტი, სერხი, ალბერტინი, აგილერა, ემერსონი (მოვილია 55), ფერნანდო ტორესი, კორეა (კონტრა 46), ლუის გარსია (ხავი მორენო 74)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

უელვა: სეზარი, ქაპინოლა, გალანი, ალეხო ბერუეტა, არმანდო (კუბილო 55), ალვარ ბენგონია, ბენიტესი, ლორენი, რაულ მოლინა (იაგო 87), ბერმუდო, ხოსე მარი (რომერო 74)

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

გაფრთხილება: რაულ მოლინა, სეზარი, ბერმუდო, ფერნანდო ტორესი, ხოსე მარი, კუბილო

გაძევება: ოტერო (42)

მსაჯი: მორენო დელგადო

55 000 მაყურებელი

**ბილბაო 0:2 მალიორკა**

0:1 რობლესი (31), 0:2 ლარაინსარი (73ს.გ.)

ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი (ლარაინსარი 46), მურილო, სესარი (ტიკო 61), იესტე (ესკერო 81), გურპეგი, ხ. ეჩებერია, ურსაისი, არიაგა

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინო, კორტესი, პოლი, ნადალი, იბაგასა (მარკოსი 76), ნოვო, რიერა (კამპანო 89), არილდ ლოზანო, რობლესი, პანდიანი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ლაკრუსი, სესარი, გურპეგი, პოლი, არილდ ლოზანო, რობლესი

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

33 000 მაყურებელი



REUTERS ფოტოქრონიკა

ბეტისი — ბარსელონა. სევილიელებმა გაიცა მენდიეტა ბურთს არ გაყარეს

**ესპანიოლი 0:0 სევილია**

ესპანიოლი: არგემი, სოლედევილა, რიკარდო ნავასი, ნავასი, დომორო, მორალესი (ბოგარისიანი 89), როხერი, ფრედსონი (მილოშევიჩი 86), მაქსი, ლუკე (მარტინ პოსე 68), ტამუდო

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

სევილია: ნოტარიო, კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი, ნივესი, გალიარდო (ხ. როდრიგო 90), ტომასი (ანტონიტო 70), სემპისი, კასერო, რეიესი, ტოედტლი (მოიზესი 85)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპარროსი

გაფრთხილება: ნივესი, როხერი, ტომასი, ოსკარი, ანტონიტო

მსაჯი: პერეს პერესი

21 100 მაყურებელი

**ბეტისი 3:0 ბარსელონა**

1:0 ალფონსო (26პ), 2:0 ხოაკინი (66), 3:0 ვარელა (83)

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ასუნსაო (ფერნანდო 86), ფ. ვარელა, კაპი, იტო, არზუ, ალფონსო (კასასი 81), დენილსონი (ბენზაინი 75), ხოაკინი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ბარსელონა: ვალდესი, ფ. დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი (ხერარდი 72), კოკუ, მენდიეტა, მოტა (გაბრი 46), ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა (ჯოვანი 61)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

გაფრთხილება: ასუნსაო, მოტა, გაბრი, ვარელა, კასასი, ლუის ენრიკე

მსაჯი: რუბინოს პერესი

19 500 მაყურებელი

**რასინგი 1:1 ვილიარეალი**

0:1 სენა (63), 1:1 მორა (83)

რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნაფტი (ბენაიუნი 76), მორა, ხუანმა, ისმაელი, პაბლო ლაგო, ჩაკა (როგუერო 66), პინედა, მუნიტისი, დიეგო ალონსო (ბოდიპო 63)

მწვრთნელი: მანოლო პრესიადო

ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, კიკე მედინა, უნაი, ხორხე ლოპესი (გრასია 90), სენა, ვიქტორი (რეიესი 85), გიარე (პალერმო 53)

მწვრთნელი: ბენიტო ფლორო

გაფრთხილება: დიეგო ალონსო, კიკე მედინა, ბალესტეროსი, პინედა, როგუერო, კიკე ალვარესი

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

15 189 მაყურებელი

**ალავესი 1:2 დეპორტივო**

1:0 იგან ალონსო (53), 1:1 ტრისტანი (69), 1:2 კაპდევილა (89)

ალავესი: დუტრუელი, ტელიესი, ჯელი (იბონ ბეგონია 74), ლორენსი, აბელარდო, პაბლო (ტურიელი 84), დესიო, ედუ ალონსო, ასტუდილიო, მაგნო (ა. ილიე 63), იგან ალონსო

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

დეპორტივო: ხუანმა, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, ვქტორი, მაურო სილვა, ფრანი (კაპდევილა 79), სკალონი, სერხიო (ტრისტანი 57), დუშერი, მაკაი (ლუკე 70)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: აბელარდო, სეზარი, ლორენსი, პაბლო, ტელიესი, კაპდევილა

მსაჯი: პინო სამორანო

14 786 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:1 რეალი**

0:1 რაული (44), 1:1 ოლივერა (58პ)

ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა, ჩემა, რიკეტი, ფერნანდო სალესი, პაჩონი (დ. ჩირიბი 78), ოლივერა (ოსკარ სანჩესი 86)

მწვრთნელი: პეპე მორე

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ზიდანი, გუტი (სოლარი 79), კამბიასო, მაკელელე, რაული, ფიგუ (მორიენტესი 72)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: რიკეტი, სალგადო, სალგადო, ტორეს გომესი, პავონი, კოლსა, იერო

გაძევება: სალგადო (38)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

21 000 მაყურებელი

„ბეტისს“ „ბარსელონასთვის“ რომ არ მოეგო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. საქმე აი, რაშია: სევილიელთა არენა, „ლუის დე ლოპერა“, მოგეხსენებათ, დისკვალიფიცირებულია და „ბარსელონას“ მასპინძლობა მათ თავდაპირველად მადრიდში განიზრახეს. ეშმაკურად გათვალეს — მადრიდში „ბარსას“ ქომაგობა, აბა, ვის მოუვიდოდა აზრად. აქედან არაფერი გამოვიდა, „რეალმა“ სევილიელებს თავისი „სანტიაგო ბერნაბეუ“ არ დაუთმო, „ატლეტიკოს“ კი მეორე დღეს საშინაო მატჩი ჰქონდა. ფედერაციამ „ბეტისს“ მალაგასა და უელვას ვარიანტები შესთავაზა. კლუბი გაჯიუტდა, სეზონური აბონემენტების 40 ათასი მფლობელი გვყავს, ეს სტადიონები კი, ამდენს არ იტევსო. მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და, ფედერაციამ თავისი გაიტანა, მატჩი უელვაში დანიშნა.

ახლა „ბეტისის“ ფანების ჯერი დადგა. შეთავაზებული 20 ათასი ბილეთი ვის ეყოფაო და ბევრმა სულაც ბოიკოტი გამოუცხადა მატჩს. ერთი სიტყვით, ანშლაგი კი არა, 2 500 ბილეთი სულაც გაუყიდავი დარჩა, ხოლო ბილეთიანები იმუქრებოდნენ, უელვაში მხოლოდ იმისთვის მივდივართ, იქაურობა რომ დავარბიოთო.

„ბეტისის“ ხელმძღვანელობამ ამ 2 500 ბილეთის გაყიდვა უელვაში გადაწყვიტა, მაგრამ იქაურმა ხელისუფლებამ სტადიონის სალაროებს კლიტე დაადო. ამან კლუბის პრეზიდენტი ლუის დე ლოპერა ისე განარისხა, ქუჩაში გავიდა და გაუყიდავ ბილეთებს გამვლელებს პირადად ურიგებდა — თან უფასოდ.

სტადიონზე მისულმა ფანებმა სიტყვა ნაწილობრივ აასრულეს — 200 სკამი დაამტვრიეს, რაც ცხადია, კლუბის ჯიბეს დააწვა. ახლა კი ვიკითხოთ: რამდენი სკამი დაიმტვრეოდა „ბეტისს“ რომ წაეგო?

„ბეტისმა“ დიდებულად ითამაშა და არავის შეპარვია ეჭვი ანგარიშის სამართლიანობაში. დიდებული იყო ხოაკინისა და ფერნანდო ვარელას გოლები, „ბარსას“ საჯარიმოში საკუთარი ეზოსავით რომ გაინავარდეს. ერთიც პენალტით გაიტანა ძველმა ბარსელონელმა ალფონსომ. პენალტი ვიქტორ ვალდესისგან კაპის წაქცევისთვის დაინიშნა.

ბიჭები დაღლილები იყვნენ, ენერგია მხოლოდ 25 წუთი ეყოთო — დაიჩივლა ლუის ვან გაალმა — ისე კი, „ბეტისი“ დიდად არ გვჯობდაო.

დიდად არ გვჯობდაო, ეს რომ გაიგეს, ჟურნალისტებს ლამის ჩიცილი წასკდათ, რაზეც ვან გაალმა შენიშნა, ჩანაწერი ნახეთ და დარწმუნდებით, რომ მეტოქემ თამაში ოდენ კონტრშეტევებზე ააგოო.

„ბეტისზე“ დავძინოთ, რომ ეს გუნდი „რეალის“ დამარცხებასთანაც ახლოსაა, რაკი შეწყვეტილი პირველი ტაიმის მერე 1:0 ამარცხებს. თამაში 6 ოქტომბერს დასრულდება.

ამასობაში „რეალმა“ ფრედ ითამაშა ვალიადოლიდში, არადა, შეეძლო მოეგო — მსაჯი შეცდა, მადრიდელთა კარში პენალტი რომ დანიშნა, იერო არც შეხებია ფერნანდო სალესს. სიფიცხის შეტევამ წამოუარა მიჩელ სალგადოს, 40 წამში ორი ყვითელი ბარათი რომ მიიღო მსაჯთან კამათის გამო. საერთოდ კი „რეალის“ თამაში მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ ყოფილა.

ფრეს დასჯერდა „სელტაც“ და ამგვარად, ქულებდაუკარგავი დივიზიონში აღარავინაა. არადა, ალექსანდრ მოსტოვოის პენალტი რომ არ გაეფუჭებინა, ვიგოელები კვლავ ცხრილის სათავეში იქნებოდნენ. ასე კი ლიდერი „ვალენსიაა“, რომელიც იოლად გაუსწორდა „რაიო ვალეკანოს“, თუმც ლიდერობა მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით ერგო.

„ვალენსიასა“ და „სელტას“ ამდენივე ათი ქულით მისდევს „რეალ სოსიედადი“, რომელიც, შეგახსენებთ, შარშან ბეწვზე გადაურჩა გავარდნას. იყოჩაღა რუსმა დმიტრი ხოხლოვმა, რომელმაც მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაუტანა პამპლონელებს გამარჯვების გოლი.

გვიანი გოლები სხვაც იყო, მათგან გამორჩეული კი ხუან კაპდევილასი გახლდათ. ყოფილმა მალიორკელმა ალბერტ ლუკემ ბურთი ალავესელთა ხარიხას გაარტყა, კაპდევილამ კი დაამატა და „დეპორტივოს“ მოაგებინა.

არც უქულო გუნდები დარჩნენ: „უელვამ“ და „ესპანიოლმა“ ფრეები გააზერხეს, „მალიორკამ“ კი ბილბაოში იმარჯვა, რითაც სახიფათო ზონასაც ასცდა.

**გიორგი დარჯანია**

## სეგუნდადივიზიონი

### IV ტური

**კორდობა 0:2 ტერასა**

0:1 მონტი (46), 0:2 ბაბანგიდა (52)

**კომპოსტელა 0:1 ოვიედო**

0:1 იდიაკესი (62)

**ლევანტე 3:1 ეიბარი**

1:0 მიატოვიჩი (10), 1:1 საისარი (45), 2:1 ლიმონესი (55), 3:1 ეტიენი (63)

**ლეგანესი 1:2 ხერესი**

1:0 რამონი (13), 1:1 პინედა (28პ), 1:2 ანტონიო (41)

**ალბასეტე 1:1 ელჩე**

0:1 პენა (5ს.გ.), 1:1 პარი (65)

**ფეროლი 2:1 ხეტაფე**

1:0 ანიგო (17), 1:1 კრაიოვეანუ (47), 2:1 იასუნაგა (59)

**პოლი ეხიდო 3:2 ნუმანსია**

0:1 კომე (22), 1:1 საბინო (23), 1:2 კომე (36), 2:2 პრატსი (63), 3:2 ტივერნე (72)

**სალამანკა 0:1 ბადახოსი**

0:1 ნენე (58)

**სპორტინგი 0:0 ლას პალმასი**

**ტენერიფე 2:0 სარაგოსა**

1:0 ბარატა (54), 2:0 კოკო გონსალესი (90)

**მურსია 3:0 ალმერია**

1:0 აკუარი (6), 2:0 დ. კარანკა (24), 3:0 ლორეტო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტერასა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ხერესი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| მურსია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| ლევანტე | 4 | 2 | 2 | 0 | 10:7 | 8 |
| ალბასეტე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| პოლი ეხიდო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ფეროლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ლას პალმასი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| ტენერიფე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ლეგანესი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ეიბარი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| კორდობა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ოვიედო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| სალამანკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| სარაგოსა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბადახოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| კომპოსტელა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| ელჩე | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ნუმანსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| სპორტინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:2 | 2 |
| ალმერია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 2 | სელტა | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 3 | სოსიედადი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:8 | 5 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 4 | დეპორტივო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 5 | მალაგა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:7 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 6 | ბეტისი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 4 |
| 7 | რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 9 | ვალიადოლიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 10 | ატლეტიკო | 4 | 1 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 4 |
| 11 | ალავესი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 12 | რაიო ვალეკანო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 13 | რასინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 14 | სევილია | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 15 | მალიორკა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 16 | ვილიარეალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 17 | ოსასუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 |
| 18 | ბილბაო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 19 | ესპანიოლი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 20 | უელვა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |

**V ტური**

6 ოქტომბერი

ვალენსია — სელტა
მალაგა — ატლეტიკო
უელვა — ბილბაო
მალიორკა — ესპანიოლი
სევილია — ბეტისი
ბარსელონა — ოსასუნა
სოსიედადი — ვალიადოლიდი
რეალი — ალავესი
დეპორტივო — რასინგი
რაიო ვალეკანო — ვილიარეალი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 5 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 5 |
| მაკაი (დეპორტივო) | 5 |
| მუსამპა (მალაგა) | 5 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 4 |

# რომას ტოტები აუყვავდა

## იტალია

### სერია A. IV ტური

**ლაციო 1:1 მილანი**

0:1 მალდინი (7), 1:1 ლოპესი (61)
ლაციო: პერუცი, სტამი, პანკარო (სუზარი 56), მიხაილოვიჩი, ფ. კოუტო, კასტრომანი (დ. ბაჯო 63), ჯანიკედა, ფიორე (კორადი 79), დ. სტანკოვიჩი, ს. ინძაგი, კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა (ლაურსენი 79), მალდინი, კალაძე, გატუზო (პირლო 46), ამბროზინი, ზეედორფი, რივალდო, ფ. ინძაგი, ტომასონი (რუი კოშტა 58)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, პანკარო, კალაძე, ჯანიკედა, ზეედორფი, ბაჯო
გაძევება: ამბროზინი (90)
75 000 მაყურებელი

**ინტერი 2:1 კიევო**

0:1 მარაცინა (2), 1:1, 2:1 ვიერი (16, 78პ)
ინტერი: ტოლდო, ფ. კანავარო, მატერაცი, კორდობა, კოკუ, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ალმეიდა, დალმა (ს. კონსეისაუ 85), ვიერი, რეკობა (ადანი 90)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ლანა, პასონი (ლაზეტიჩი 61), პეროტა, კორინი, კოსატო (მელისიერი 86), ბირჰოფი, მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, მორო, კოსატო, ვიერი
გაძევება: კონსეისაუ (90)
მსაჯი: რაკალბუტო
57 674 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:2 პარმა**

0:1 ნაკატა (66), 0:2 ადრიანო (81), 1:2 ტუდორი (87), 2:2 დელ პიერო (90)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, ბირინდელი (ჯ. ძენონი 56), კამორანეზი (მ. სალასი 66), ტაკინარდი, დავიდსი (ტუდორი 46), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, ნაკატა, მატეო ბრიგი, ლამუში, ე. ფილიპინი (ბრეშიანო 86), ჟუნიორი, ადრიანო (ბონაცოლი 82), მუტუ (დონატი 90)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბრიგი, მუტუ, ფერარი
გაძევება: ლამუში (87)
მსაჯი: კასარა
40 000 მაყურებელი

**ბრეშა 2:3 რომა**

0:1, 0:2 ტოტი (30პ, 41), 1:2 ბაჯო (45პ), 1:3 ტოტი (80), 2:3 შოპა (83)
ბრეშა: სრნიჩეკი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, სტანკევიჩიუსი (ალბერტო 82), ა. ფილიპინი, ბაჰია, მატუზალემი, სერაჩი (შოპა 68), ბაკინი, რ. ბაჯო, ტარე (ჯადიდი 58)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, დელვასი, კაფუ (სარტორი 82), ტომაზი (გვარდიოლა 53), ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი, მონტელა (ა. კასანო 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: მატუზალემი, ფილიპინი, ლიმა, დელვასი, ფილიპინი, კაფუ, დელვასი, გვარდიოლა
გაძევება: ფილიპინი (43), დელვასი (64), ბაკინი (90), ფაბიო კაპელო (90, რომას მწვრთნელი)
მსაჯი: დონდარინი
19 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:0 პიაჩენცა**

1:0 დელა როკა (65)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ძანკი, მ. კასტელინი, ნერვო, ოლივე, ლ. კოლუჩი, პარამატი, ლოკატელი, ბელუჩი (ძაკარდო 79), ხ. კრუზი (დელა როკა 31)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, მანკონე, კამპანარო, რიკო (გურენკო 75), მარესკა, დი ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო (კაშა 69), ჰიუბნერი
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: ძანკი, ჰიუბნერი, ფალკონე, რიკო, ოლივე, ფალკონე, კარდონე
გაძევება: ფალკონე (78)
მსაჯი: დე სანტისი
20 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:0 ატალანტა**

1:0 სენსინი (60)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, კროლდრუპი, სენსინი, ა. მანფრედინი (ჯემიტი 71), ალბერტო, პინცი, დ. პიძარო, იანკულოვსკი, იორგენსენი (ჯ. მარტინესი 76), იანკერი (იაკინტა 84)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ატალანტა: ტაიბი, ფოლონი, სალა, ნატალი (ძინი 89), ძაური, დ. ძენონი, დაბო (ინასიო პია 74), ბერტა, დონი, როსინი, პინარდი (ლორენციდისი 81)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: იანკულოვსკი, დონი, მანფრედინი, ძენონი, ნატალი
მსაჯი: პრეშკერნი
14 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:3 ემპოლი**

1:0 რეზაეი (8), 1:1 საუდატი (20), 1:2 დი ნატალე (42), 1:3 როკი (66)
პერუჯა: ს. როსი, რეზაეი (ბერეტონი 73), დი ლორენცო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბარონიო (ობოდო 54), ბლაზი, გროსო, ნ. ამორუზო (ვრიზასი 54), მიკოლი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, როკი (ტავანო 77), ვანიგლი (კაპელინი 61), დი ნატალე (მუშე 72), საუდატი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: რეზაეი, საუდატი
მსაჯი: კოლინა
8 000 მაყურებელი

**მოდენა 2:1 ტორინო**

1:0, 2:0 სკულო (26, 53), 2:1 ფერანტე (63პ)
მოდენა: ბალოტა, მაიერი (კალიაა 71), ჩეკოლი, პავანი, პონცო, ჯ. კოლუჩი, მილანეტო, მაური, ბალესტრი, სკულო (სკოპონი 74), ფაბრიჩი (ტოლდო 65)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, ფატორი (ოსმანოვსკი 88), გალანტე, ბალძარეტი, სომესე (ფრეცა 52), დე აშენტისი, სკარკელი (მაგალიანესი 62), ა. კასტელინი, ლუკარელი, ფერანტე
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: დელი კარი, მაიერი, ფატორი
მსაჯი: რიცოლი
15 000 მაყურებელი

**კომო 1:1 რეჯინა**

1:0 კარბონე (16პ), 1:1 ნაკამურა (62პ)
კომო: ბრუნერი, ტომაზი (გრეგორი 71), პადალინო, სტელონი, ტარანტინო (ბრეგი 76), ბინოტო (გოდეაში 71), კოუ, ალეგრეტი, მუკა, კარბონე, ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
რეჯინა: კასტელაცი, ი. ფრანჩესკინი, ვარგასი (რასტელი 46), მიერინი (ფირანდუ 79), ჩირილო, ბარეჯიო, მოცარტი (სავოლდი 54), მამედე, მორაბიტო, დი მიქელე, ნაკამურა
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ჩირილო, ბიელანოვიჩი, ფრანჩესკინი, რასტელი, ბინოტო
მსაჯი: ბოლონინო
10 000 მაყურებელი


REUTERS

ინტერი — კიევო. ვერონელმა ნიკოლა ლეგროტალიემ კრისტიან ვიერი საპენალტედ წააქცია

**აი, რას ნიშნავს** ლიდერი, კაცი, რომელსაც ენდობიან: გავიდა ფრანჩესკო ტოტი მოედანზე და პეთ თრიქი შესრულა — „რომამ" ამ სეზონში პირველად მოიგო. რომაელთა მიერ ძლეული „ბრეშა" აღმოჩნდა, რომელმაც საპასუხოდ ორი გოლი შეაგდო და შემოქმედებითი ფეხბურთის მოყვარულთა გასახარად, ამ ორიდან ერთი რობერტო ბაჯომ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მსაჯმა დიდი სიწითლე გამოიჩინა: მოედანი „ბრეშას" ორმა მოთამაშემ და ერთმა რომაელმა მცველმა დატოვეს. ანგარიში ტოტიმ გახსნა, პენალტით შეაგდო, ხოლო შემდეგ, იმავე თილისმამ სტანდარტული მდგომარეობის მეორე ხერხით გაარმაგა სხვაობა — 25 მეტრიდან ჩინებულად ჩაზვია პაველ სრნიჩეკის კარში.

ტაიმის მიწურულს „რომას" კართან საინტერესო ამბები დატრიალდა. ჯერ იყო და, „ბრეშას" მოთამაშემ, ანტონიო ფილიპინიმ ყალბი გაკოტრიალებისთვის მეორე ყვითელი „იშოვნა" და მოედანი დატოვა, ხოლო შემდეგ ნამდვილი პენალტი დაინიშნა, ოღონდ რობერტო ბაჯოს დარტყმული ფრანჩესკო ანტონიოლიმ მოიგერია.

და, თქვენ გგონიათ, ეპიზოდი ამით ამოიწურა? არა, ვინაიდან იგლი ტარე ბურთს ნებადართულზე ადრე შეჰყვა და მსაჯმა დარტყმის გამეორება ბრძანა. მეორედ ბაჯომ შეცდომა აღარ დაუშვა.

შემდეგ დაიწყო მეორე ტაიმი, მიილია მისი 20 წუთი და „ბრეშას" იმედი, რომ ანგარიშის გათანაბრებას შეძლებდა, გაღვივდა — მსაჯს ჯონათან ბაკინის წინააღმდეგ ტრაიანოს დელასის აქტიურობა არ მოეწონა, რომაელი მოედნიდან გააძევა, გუნდების შემადგენლობა გაათანაბრა და.. ტოტიმ თავისიანები ისევ ორგოლიანი უპირატესობით დააწინაურა. ამჯერად მას სტანდარტული ზომებისთვის არ მიუმართავს, მარცხენა ფრთიდან წაუღრიბლინგა და სრნიჩეკისთვის აუღებელი დაარტყა.

„ბრეშამ" ანგარიში საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე შეამცირა და ეს მარკუს შოპამ შეძლო, თუმცა ამის შემდეგ კიდევ ერთი ამბავი მოხდა — ხომ გახსოვთ, სამი გაძევება რომ ვახსენეთ? ბაკინმა მეორე ყვითელი მიიღო და გავიდა.

ახლა „ინტერისა" და „კიევოს" დაპირისპირებაზე გადავიდეთ. წინა სეზონში ვერონელმა „მფრინავმა ვირებმა" „ინტერს" ოთხი ქულა წაართვეს. გეხსომებათ სენსაციური მატჩი „სან სიროზე", რომელიც „კიევომ" მოიგო. და, აი, ამჯერადაც ყველაფერი დაახლოებით ისევე დაიწყო — მეორე წუთზე ანგარიში მასიმო მარაცინამ გახსნა.

მაგრამ „ინტერმა" ძველი შეცდომა აღარ გაიმეორა და მე-15 წუთზე კრისტიან ვიერიმ, ალვარო რეკობასთან ბურთის გათამაშების შემდეგ, მშვიდად გაათანაბრა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ „კიევო" დაცვაში ერთობ რისკიანად თამაშობდა და, მაგალითად, 35-ე წუთზე, რეკობას გაცილებით რაციონალურად მართებდა მოქმედება, ვიდრე იმოქმედა. ეპიზოდურად ხიფათი „ინტერის" კართანაც იქმნებოდა, კერძოდ, რომ არა, მეკარე ფრანჩესკო ტოლდო, რომელმაც სიმონე პეროტას ახლოდან დარტყმული მოიგერია, ანგარიში კვლავ მასპინძელთათვის უსიამოვნო გახდებოდა.

საბოლოოდ კი ასე იყო: საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე ვიერი „კიევოს" მცველმა, ნიკოლა ლეგროტალიემ წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა, რომელიც თავად ვიერიმ გაიტანა.

და აქაც, ისევე როგორც ზემოხსენებულ შეხვედრაში, ბოლო დამამახსოვრებელი ეპიზოდი გაძევება გახლდათ: „შავ-ლურჯთა" შემადგენლობაში შეცვლაზე შესული სერჟიუ კონსეისაუ ენის ტლიკინისთვის წითელი ბარათით დაისაჯა.

ამ ტურში ღირსშესანიშნავი გახლდათ ისიც, რომ, სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა 18 წლის ლუიჯი დელა როკამ. ამ გოლით „ბოლონიამ" ამ სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო „პიაჩენცამ", ბოლოს და ბოლოს, წააგო.

სამშობლოს დაუბრუნდა ბენიტო კარბონე. ის „ბრედფორდ სიტიდან" „კომოში" გადაბარგდა და „რეჯინასთან" შეხვედრის მე-17 წუთზე ზუსტად შესრულებული პენალტით გამოიჩინა თავი. თუმცა ვალში არც კალაბრიელები დარჩნენ. მათ ანგარიში ასევე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრეს.

ხოლო ჩემპიონმა „იუვენტუსმა" „დელე ალპიზე" „პარმას" ვერ აჯობა. თან დახეთ, მრავალი მომენტის ხელიდან გაშვების შემდეგ ანგარიში პარმელებმა გახსნეს და ამას 81-ე წუთზე ანგარიშის გაზრდაც მოაყოლეს, მაგრამ პასუხად, „ბებერმა ქალბატონმა" იგორ ტუდორის თავურით და ალესანდრო დელ პიეროს საეჭვო გოლით, რომელშიც, არ არის გამორიცხული, ვარსკვლავმა ხელსაც მიაღებინა მონაწილეობა, ანგარიში გაქვითა.

**ბაჩუნა ძიდია**

### სერია B

#### V ტური

**ანკონა 1:1 ტერნანა**
1:0 გრადოლი (49), 1:1 ფრიკა (68)

**ბარი 0:1 ნაპოლი**
0:1 სესა (72)

**კალიარი 1:0 ჯენოა**
1:0 ლუჩენტი (37)

**მესინა 0:2 ლეჩე**
0:1 ჩევანტონი (54), 0:2 ჯაკომაცი (80)

**სალერნიტანა 2:1 ლივორნო**
1:0 ვინიაროლი (80), 2:0 დობროევიჩი (88), 2:1 პროტი (90პ)

**სამპდორია 2:1 კოზენცა**
1:0, 2:0 ბაცანი (9, 12), 2:1 ალტერი (45)

**სიენა 0:0 ვიჩენცა**

**ტრიესტინა 2:1 პალერმო**
1:0 ჩიული (2), 1:1 მარასკო (63), 2:1 გუბელინი (90)

**ვენეცია 1:1 ასკოლი**
0:1 დ. ანდერსონი (13პ.კ), 1:1 ფანტინი (50)

**ვერონა 2:0 კატანია**
1:0 მ. ვიერი (11პ), 2:0 იტალიანო (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| კალიარი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ლივორნო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ლეჩე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| კოზენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ანკონა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ვენეცია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ტერნანა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ვერონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიენა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| პალერმო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ტრიესტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სალერნიტანა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ვიჩენცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ასკოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ჯენოა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| მესინა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### სერია C1/A. V ტური

ალბინოლეფე — ვარეზე 1:1; ალძანო — პიზა 0:0; არეცო — რეჯანა 4:3; კარარეზე — ტრევიზო 2:2; ჩიტადელა — ლუმეცანე 0:1; ლუკეზე — ჩეზენა 0:2; პრატო — პადოვა 1:1; პრო პატრია — სპალ 1:0. პისტოიეზე — ხაჩია წუხელ გვიან გაიმართა

### სერია C1/B. V ტური

ბენევენტო — ტარანტო 0:0; კროტონე — პესკარა 2:0; ფერმანა — აველინო 2:0; აკილა — ჩეტერზე 4:0; ლანჩანო — კიეტი 3:0; მარტინა — პესკარა 0:1; პატერნო — ტორესი 1:1; სორა — ჯულიანოვა 1:0; ტერამო — სამბენედეტეზე 1:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 3 იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 ბოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 ემპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 |
| 6 პიაჩენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 7 მოდენა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 პარმა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 9 ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 12 კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 13 ბრეშა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 14 პერუჯა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 რეჯინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 ატალანტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 17 კომო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 18 ტორინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |

**V ტური**

6 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | ლაციო |
| კიევო | - | მოდენა |
| ემპოლი | - | ბოლონია |
| იუვენტუსი | - | კომო |
| მილანი | - | ტორინო |
| პარმა | - | პერუჯა |
| პიაჩენცა | - | ინტერი |
| რეჯინა | - | ბრეშა |
| რომა | - | უდინეზე |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 5 |
| ვიერი (ინტერი) | 4 |
| ტოტი (რომა) | 4 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 3 |
| ადრიანო (პარმა) | 3 |
| სკულო (მოდენა) | 3 |

# იტალიის ჩემპიონატი

## მეოთხე ტურის მატჩი

## ლაციო 1:1 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი, გააფრთხილეს

# ცოტა დავიღალეთ!

**„უპირველეს ყოვლისა,** შეხვედრა ძალიან სანახაობრივი გამოდგა — თქვა „მილანისა" და „ლაციოს" რომაული შეხვედრის შემდეგ „შავ-წითლების" ქართველმა მცველმა კახა კალაძემ — თანაც ორივე გუნდს გაუჭირდა. გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენ ცოტა დაღლილები გახლდით. ხომ გახსოვთ, სამშაბათს „დეპორტივოს" ვეთამაშეთ და, როდესაც კვირაში ორ მნიშვნელოვან მატჩს ატარებ, ენერგიის აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ თავიდან გავიტანეთ, მაგრამ, შემდეგ ინიციატივას „ლაციო" დაეუფლა და, უნდა გითხრათ, რომ ამ გუნდს მოედნის შუაში კარგად აეწყო თამაში. ისინი სახიფათოდ და ფანტაზიით გვიტევდნენ, სტამმა ჯარიმიდან ძელს გაარტყა ბურთი, სხვა მომენტებში კი ჩვენმა დაცვამ ითამაშა ყოჩაღად. მეორე ტაიმში კლაუდიო ლოპესმა ანგარიში გაგვითანაბრა, თუმც შემდეგ თამაში გათანაბრდა და პერუცი რომ არა, იქნებ მოგვეგო კიდეც — ინძაგის ხომ ორი შესანიშნავი მომენტი ჰქონდა. ვფიქრობ, ამბროზინის გაძევებისას მსაჯმა იჩქარა. ამბროზინი ჩვეულებრივად უწევდა მოწინააღმდეგეს და ფრთხილობდა კიდეც ასეთ დროს კი, დიდი-დიდი, ფეხბურთელს ყვითელი ბარათი ამოუღო. ერთი სიტყვით, „ლაციო" ოდნავ უკეთ დაკვრებული ჩანდა, თუმცა, საბოლოოდ, რომში შეხვედრის ფრედ დასრულება კარგ შედეგად მიმაჩნია. თან, ჩვენმა, ერთ-ერთმა მთავარმა კონკურენტმა „იუვენტუსმა" ასევე ფრედ ითამაშა."

ალსანიშნავია, რომ ამ მატჩში „გაძეტა დელო სპორტმა" კალაძეს მაღალი შეფასება — 6,5 ქულა დაუწერა.

**ბაჩუნა ძიძია**



კლაუდიო ლოპესმა „მილანი" ფრეს დააჭერა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. IX ტური

**დანდი იუნ. 0:3 რეინჯერსი**

0:1 ამორუზო (22), 0:2 ფერგიუსონი (45), 0:3 არველაძე (73)

რეინჯერსი: კლოსი, მუსკატი (კონტერმანი 77), ლ. ამორუზო, კ. მური, მორის როსი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, რ. დე ბური (კანიჯა 67), შ. არველაძე, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

10 013 მაყურებელი

**მოზერუელი 1:1 დანდი**

0:1 ლოველი (14), 1:1 მაკფადენი (56)

დანდი: სპერონი, უოლკა, ჰაჩინსონი, მაკი, ფერნანდესი, სმიტი, რაე, მაირი, ლოველი (ნოვო 72), სარა, კაბალიერო

**გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი განაცხადში ვერ მოხვდნენ**

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

4 025 მაყურებელი

**აბერდინი 3:1 დანფერმლაინი**

0:1 ბოულენი (41), 1:1 ბილიო (45), 2:1 დეკასტი (56), 3:1 დ. იანგი (64)

გაძევება: ბრუესტერი (90, დანფერმლაინი)

**სელტიკი 5:0 კილმარნოკი**

| 23.15 | 457 | ვენტსპილსი-შტუტგარტი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 23.15 | 458 | სარაევო-ბეშიქთაში | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 23.15 | 459 | ბრონდბიუ-ლევსკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.30 | 460 | პანათინაიკოსი-ლიტექსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.30 | 461 | კოშიცე-ცრვენა ზვეზდა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.30 | 462 | გრაცერი-აპოელი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.30 | 463 | ალავესი-ანკარაგუჯუ | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.45 | 464 | ოდენსე-სელტა | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 23.45 | 465 | ფულემი-პაიდუკი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.45 | 466 | ლივინგსტონი-შტურმი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.45 | 467 | უიპესტი-პსჟ | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 23.45 | 468 | უტრეხტი-ლეგია | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.45 | 469 | იურგორდენი-კოპენჰაგენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 23.45 | 470 | რეინჯერსი-ვიკინგი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 24.00 | 471 | ვიკინგი-ჩელსი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 24.00 | 472 | პარმა-ცსკა(მ) | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 00.30 | 473 | ბეტისი-ზიმბრუ | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 00.30 | 474 | მალაგა-ჟელეზნიჩარი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 01.00 | 475 | ბოავიშტა-მაკაბი(თ.ა) | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 718 | ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.30 | 719 | კარლოვი ვარი-ჰავირჟოვი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 20.30 | 720 | ბუდეიოვიცე-პლზენი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 721 | ლიტვინოვი-ზლინი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 21.00 | 722 | სპარტა-ვსეტინი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| 21.00 | 723 | ლიბერეცი-ზნოიმო | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 21.00 | 724 | სლავია-ტრშინეცი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია. გადადებული მატჩები | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 732 | დავოსი-ლანგნაუ | 1,3 | 5,3 | 5,0 | 1,04 | 1,03 | 2,57 |
| 22.30 | 733 | კლოტენი-ციურიხი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 745 | აუგსბურგი-ნიურნბერგი | 1,8 | 4,4 | 2,6 | 1,27 | 1,06 | 1,63 |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 746 | ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 1,6 | 4,7 | 3,1 | 1,19 | 1,05 | 1,86 |
| 22.30 | 747 | მანჰაიმი-კიოლნი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 22.30 | 748 | აისბარენი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 749 | დიუსელდორფი-იზერლონი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 23.00 | 750 | კრეფელდი-კასელი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 23.00 | 751 | შვენინგი-ჰამბურგი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.00 | 763 | სოდერტელიე-ჰვ 71 | 2,1 | 3,2 | 2,3 | 1,26 | 1,09 | 1,33 |
| 22.00 | 764 | ფერიესტადი-მალმიო | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.00 | 765 | მოდო-ლეკსანდი | 1,75 | 4,4 | 2,7 | 1,25 | 1,06 | 1,67 |
| 22.00 | 766 | ლულეო-ლინჩიოპინგი | 1,85 | 4,4 | 2,5 | 1,3 | 1,06 | 1,59 |
| 22.00 | 767 | ფროლუნდა-ბრიუნესი | 1,55 | 4,7 | 3,3 | 1,16 | 1,05 | 1,93 |
| 22.00 | 768 | იურგორდენი-ტიმრო | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.30 | 781 | ჰელსინკი-ჰამეენლინა | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |
| 20.30 | 782 | ილვესი-ესპოო | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 783 | იუვასკულა-კერპეტი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 20.30 | 784 | პელიკანსი-ტაპარა | 2,6 | 4,7 | 1,75 | 1,67 | 1,04 | 1,27 |
| 20.30 | 785 | საიპა-ლუკო | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.30 | 786 | ესეტი-იოკერიტი | 2,9 | 4,7 | 1,65 | 1,79 | 1,05 | 1,22 |

## 1-ლი ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.00 | 2001 | ლოკომოტივი-ბარსელონა | 4,7 | 2,2 | 2,2 | 1,49 | 1,49 | 1,1 |
| 23.45 | 2002 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 1,95 | 2,25 | 6,0 | 1,04 | 1,47 | 1,63 |
| 23.45 | 2003 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 1,7 | 2,4 | 7,0 | 1 | 1,36 | 1,78 |
| 23.45 | 2004 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 3,4 | 2,2 | 2,6 | 1,33 | 1,47 | 1,19 |
| 23.45 | 2005 | მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი | 1,45 | 3,1 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,23 |
| 23.45 | 2006 | ბაიერნი-მილანი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 23.45 | 2007 | დეპორტივო-ლანსი | 1,75 | 2,4 | 6,5 | 1,01 | 1,37 | 1,75 |
| 23.45 | 2008 | გალათასარაი-ბრიუგე | 1,9 | 2,3 | 6,0 | 1,04 | 1,44 | 1,66 |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.45 | 2009 | ოსერი-არსენალი | 4,4 | 2,15 | 2,3 | 1,44 | 1,51 | 1,11 |
| 23.45 | 2010 | პსვ-დორტმუნდი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 23.45 | 2011 | ლივერპული-სპარტაკი | 1,45 | 3,1 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,23 |
| 23.45 | 2012 | ვალენსია-ბაზელი | 1,45 | 3,1 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,23 |
| 23.45 | 2013 | აეკ-რეალი | 4,7 | 2,2 | 2,2 | 1,49 | 1,49 | 1,1 |
| 23.45 | 2014 | გენკი-რომა | 4,0 | 2,15 | 2,4 | 1,39 | 1,5 | 1,13 |
| 23.45 | 2015 | ინტერი-ლიონი | 1,9 | 2,3 | 6,0 | 1,04 | 1,44 | 1,66 |
| 23.45 | 2016 | როზენბორგი-აიაქსი | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 21.00 | 2101 | ლოკომოტ.-ბარსელონა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 23.45 | 2102 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.45 | 2103 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2104 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.45 | 2105 | მანჩესტ.-ოლიმპიაკოსი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2106 | ბაიერნი-მილანი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 2107 | დეპორტივო-ლანსი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2108 | გალათასარაი-ბრიუგე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2109 | ოსერი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.45 | 2110 | პსვ-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 2111 | ლივერპული-სპარტაკი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2112 | ვალენსია-ბაზელი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2113 | აეკ-რეალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.45 | 2114 | გენკი-რომა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.45 | 2115 | ინტერი-ლიონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 2116 | როზენბორგი-აიაქსი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | |
| 21.00 | 2201 | ლოკომოტივი-ბარსელონა | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2202 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2203 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2204 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2205 | მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2206 | ბაიერნი-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2207 | დეპორტივო-ლანსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2208 | გალათასარაი-ბრიუგე | 1,85 | 1,75 |
| | | 2 ოქტომბერი | | |
| 23.45 | 2209 | ოსერი-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2210 | პსვ-დორტმუნდი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2211 | ლივერპული-სპარტაკი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2212 | ვალენსია-ბაზელი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2213 | აეკ-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2214 | გენკი-რომა | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2215 | ინტერი-ლიონი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2216 | როზენბორგი-აიაქსი | 1,9 | 1,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | |
| 21.00 | 2301 | ლოკომოტივი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2302 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2303 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2304 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2305 | მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2306 | ბაიერნი-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2307 | დეპორტივო-ლანსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2308 | გალათასარაი-ბრიუგე | 1,8 | 1,8 |
| | | 2 ოქტომბერი | | |
| 23.45 | 2309 | ოსერი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2310 | პსვ-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2311 | ლივერპული-სპარტაკი | 2,1 | 1,55 |
| 23.45 | 2312 | ვალენსია-ბაზელი | 2,1 | 1,55 |
| 23.45 | 2313 | აეკ-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2314 | გენკი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2315 | ინტერი-ლიონი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2316 | როზენბორგი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჟაგეგულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | |
| 21.00 | 2401 | ლოკომოტივი-ბარსელონა | 2,8 | 1,45 |
| 23.45 | 2402 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2403 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2404 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 2405 | მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2406 | ბაიერნი-მილანი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2407 | დეპორტივო-ლანსი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2408 | გალათასარაი-ბრიუგე | 1,4 | 3,0 |
| | | 2 ოქტომბერი | | |
| 23.45 | 2409 | ოსერი-არსენალი | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 2410 | პსვ-დორტმუნდი | 1,85 | 1,95 |
| 23.45 | 2411 | ლივერპული-სპარტაკი | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2412 | ვალენსია-ბაზელი | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2413 | აეკ-რეალი | 2,4 | 1,6 |
| 23.45 | 2414 | გენკი-რომა | 2,1 | 1,75 |
| 23.45 | 2415 | ინტერი-ლიონი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2416 | როზენბორგი-აიაქსი | 1,95 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 21.00 | 2501 | ლოკომოტივი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2502 | ფეიენოორდი-დინამო(კ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | იუვენტუსი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | მაკაბი(ჰ)-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | მანჩესტერი-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2506 | ბაიერნი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2507 | დეპორტივო-ლანსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | გალათასარაი-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 23.45 | 2509 | ოსერი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | პსვ-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2511 | ლივერპული-სპარტაკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2512 | ვალენსია-ბაზელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2513 | აეკ-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | გენკი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2515 | ინტერი-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2516 | როზენბორგი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.10 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (VIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (IX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 21.00 | 2603 | იტალია "A" (V ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (V ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 23.00 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (X ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 04.10 23.30 | 2606 | ბელგია Iდ. (VIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1, |
| 05.10 16.00 | 2607 | თურქეთი. (VIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
ვარკეთილი, კალოუბნის
„აბ" კორპუსი №48

# ჩემპიონთა ლიგა III ტური. დღეს

CHAMPIONS LEAGUE

## E ჯგუფი

### იუვენტუსი — ნიუკასლი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუფონი, მორეტი, მონტერო, იულიანო, ტურამი, ნედვედი, ზამბროტა, დავიდსი, ტაკინარდი, დელ პიერო, დი ვაიო

გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ე. ობრაიენი, ჰიუზი, სოლანო, ჯენასი (ან აკუნია), სპიდი, რობერი, დაიერი, შირერი

### ფეიენოორდი — დინამო

სავარაუდო შემადგენლობები

ზუტებიერი, ემერტონი, კოლენი, პაუვე, რზასა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო, ვან პოიდონკი, ბუფელი

რევა, ბოდნარი, ხაცკევიჩი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ჩერნატი, პეევი, გუსინი, გიოანე, შაცკიხი, ლეკო

# თავების შეხლა

ტურინის „იუვენტუსს", შეიძლება ითქვას, თავი ქუდში აქვს, „ნიუკასლს" კი სირცხვილით, გარეთ არ გამოეყოფა. ამ მტკიცებულების სისწორეში დასარწმუნებლად, საკმარისია ცხრილს ჩახედოთ.

იტალიელთა ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ „პარმასთან" შაბათის მატჩი გამოტოვა, ცოტათი მუხლი აწუხებდა და მარჩელო ლიპიმ დაასვენა. მაგრამ ტრეზეგეს არც მეორე დღეს, კვირას უვარგიშია, რადგან უეცრად მუცელი ასტკივდა. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მის ადგილს დღეს მარკო დი ვაიო დაიკავებს და ეცდება მესამე სალიგო გოლი გაიტანოს — ორი ბურთი ერთი კვირის წინ კიეველებს გაუტანა.

„ნიუკასლი" მოისაკლისებს უელსელ თავდამსხმელ კრეიგ ბელამის, რომელიც დღეიდან შეუდგება სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას, უმსგავსო საქციელისთვის რომ დაიმსახურა. თითქოსდა, ბელამი ლომანა ლუა-ლუას უნდა შეეცვალა, ვინაც კარგად გაისარჯა „ბირმინგემთან" მატჩისას, მაგრამ ბობი რობსონი შირერ-დაიერის წყვილს ამჯობინებს. დაცვის ხაზში კი თმაჭაღარა მწვრთნელი ყველაფერს ხელუხლებლად დატოვებს.

კარგი ამბავი „ფეიენოორდისთვის": მცირე ტრავმის მიუხედავად პიერ ვან ჰოიდინკმა თქვა, უეჭველად შევებმები „დინამოსო".

ცუდი ამბავი „ფეიენოორდისთვის": გუნდს სამი კვირით გამოაკლდება მცველი კეს ვან ვონდერენი.

დაშავებული კიეველებიც ჩამოვთვალოთ: ბელკევიჩი, შოვკოვსკი, გოლოვკო, დმიტრულინი, ვაშჩუკი, ფიოდოროვი, კოსოვსკი. ვინღა დარჩა?

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## G ჯგუფი

### დეპორტივო — ლანსი

სავარაუდო შემადგენლობები

ხუანმი, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, ვიქტორი (ან დუშერი), მაურო სილვა, სერხიო, ფრანი, ტრისტანი, მაკაი

ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, რ. სონგი, ბაკი, რულე, კეიტა, ბლანშარი, კორიდონი, მორეირა, უტაკა, სიბიერსკი

### ბაიერნი — მილანი

სავარაუდო შემადგენლობები

კანი, სანიოლი, ლინკე, კუფური, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, პიზარო

დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო, ინძაგი

# არავითარი ფრე!

## ვილაცას სიტყვა შეატყდება

„ოლიმპიაშტადიონი" დიდი მატჩის მოლოდინშია, შეხვედრას შოტლანდიელი ჰიუ დალასი გასჯის და 63 ათასივე ბილეთი უკვე გაყიდულია. „ბაიერნი", რაც არ უნდა ცუდ ფორმაში იყოს, მაინც „ბაიერნია", თავის მხრივ ჩინებულ ფორმაში არიან კარლო ანჩელოტის ბიჭები და ვისი აჯობებს, ამას დღეს საღამოს შევიტყობთ, მანამდე კი ვნახოთ, რას ამბობენ.

ოტმარ ჰიცფელდი, „ბაიერნის" მწვრთნელი: „ურთულესი მატჩი რომ გველის, ფაქტია. „მილანი" დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ უეჭველი გამარჯვება გვსურს. „ბაიერნს" ხასიათს სწორედ ასეთ მეტოქესთან მოგება თუ გამოუკეთებს. ბოლო ჩავარდნებმა ბიჭები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოაქცია, მაგრამ მე მჯერა მათი. „ლევერკუზენთან" მარცხის მერე საფუძვლიანად დაველაპარაკე. ვფიქრობ, პასუხისმგებლობა კლუბისა თუ ქომაგის წინაშე გათავისებული აქვთ".

კარლ-ჰაინც რუმენიგე მოუხნელთა ვიცე-პრეზიდენტი შეშფოთებული და კატეგორიულია: „ჩვენ, თუ ისე ვითამაშეთ, როგორც „ლევერკუზენთან", საზარელი ფაქტის წინაშე დავდგებით — მარცხი გარანტირებულია. ვერაფრით ვხვდები, რა სჭირს გუნდს, მათ ხომ არაფერი აკლიათ".

„მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი, ბევრის გასაკვირად, უეჭველ მოგებაზე „ჭიკჭიკებს": „მიუნხენში მოსაგებად ჩამოვედით, არავითარი ფრე, მარცხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამის თქმის საბაბს ჩემი გუნდის პოტენციალი მაძლევს, ბიჭები ბრწყინვალე ფორმაში არიან. ჯგუფიდან გასვლის შანსი უფრო რეალური უნდა გავხადოთ".

და რა ხდება ამ დროს ორივე გუნდის ბანაკში? ფრანგ განაპირა მარცხენა მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს თუ არ ჩავთვლით, „ბაიერნი" ფაქტობრივად უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. ლიზარაზუ ტრავმირებულია, ისევე როგორც სებასტიან დაისლერი, მეჰმეთ შოლი და როკე სანტა კრუზი, რომლებიც რა ხანია, დაშავებულები არიან.

მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიანო და კარლო ანჩელოტის თერთმეტეული ზუსტად იგივეა, რომელმაც ლიგის წინა ორი მატჩი მოიგო. ქართველი კალაძე დაცვის მარცხენა ფლანგზე დაიკავებს ჩვეულ ადგილს, „მილანის" შემტევებიც რუი კოშტა-რივალდო-ინძაგი იქნებიან.

„დეპორტივოს" თავკაც ხავიერ ირურეტას, „ალავესთან" პრიმერადივიზიონულმა მატჩმა ნათლად დაანახა, რომ მისი გუნდისთვის, თავდასხმაში ტრისტან-მაკაის დუეტი იდეალურია. არადა, მწვრთნელი ბოლო მატჩებში ერთი ფორვარდით თამაშს ამჯობინებდა — მაკაი მინდორზე იყო, ტრისტანი სკამზე ყოველივე ამან კი „დეპორს" საქმეები აუწეწა ირურეტამ სქემა შეცვალა და დღეს ფრანგებს სწორედ დიეგო ტრისტანი და როი მაკაი შეუტევენ: „დიახ, ასე იქნება, ორივე კარგ ფორმაშია. „ლანსთან" მოგება გვჭირდება და ორი თავდამსხმელით შევუტევთ, თანაც სახლში ვთამაშობთ" — განუცხადა ესპანურ გაზეთ „AS"-ს ხავიერ ირურეტამ.

ტრისტანმა კი აი, რა თქვა: „ცხადია, თამაში მსურს. მე და როი (მაკაი) ერთმანეთს კარგად ვუგებთ და „ლანსს" პრობლემებსაც შევუქმნით".

„დეპორტივოს" კარს კვლავაც ხუანმი დაიცავს, ძირითადი გოლკიპერი ხოსე მოლინა ისევ ტრავმირებულია, თაბაშირში აქვს ფეხი გამთამაშებელ ხუან კარლოს ვალერონს.

ფრანგული „ლანსის" პრეზიდენტ ჟერვის მარტელს თავისი გუნდის თურმე ძალიან სჯერა და რაღაცის მოლოდინშიც ყოფილა. ეს რაღაცა კი მისი თქმით, მოულოდნელი საჩუქარი უნდა იყოს — „რიასორზე" არ წავაგებთ, პირიქით, მოვიგებთ.

ჟოელ მიულერი, „წითელ-ყვითელთა" მწვრთნელი სენეგალელ პაპე ბუბა დიოპს მოისაკლისებს — აფრიკელს კოჭი უტკენია, სამაგიეროდ, მწყობრშია პოლონელი იაცეკ ბაკი და დიოპსაც სწორედ იგი შეცვლის.

**გიორგი გუგავაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## F ჯგუფი

### მაკაბი — ლევერკუზენი

სავარაუდო შემადგენლობები

ავატე, ზანო, ბენადო, უჟიოუფორი, კეისი, ბადირი, როსო, პრალია, ფუტაუტასი (ან ზანდბერგი), აიეგბენი, კატანი

ბუტი, ფიუკოვიჩი, რამელო, ლუსიო, ოჟიგვე, ბალიტში, შნაიდერი, ბაბიჩი, ბაზთურქი, ნოიფილი, ბერბატოვი

### მანჩესტერი — ოლიმპიაკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, ფერდინანდი, სილვესტრი, ბექემი, ბათი, ვერონი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი

ელევთეროპულოსი, პაცოცოლლუ, ვენეტიდისი, ანცასი, ანატოლაკისი, იანაკოპულოსი, კარამბუ, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ზეტერბერგი, ჯოვანი



გარი ნევილი 24 აპრილის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში პირველად დღეს იქნება

# ლევერკუზენი სიკვდილს შეებრძოლება

„ლევერკუზენმა" იკითხოს, თორემ „მაკაბი" არაფერს კარგავს — ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტისგან, საშინაო თამაშებს ნეიტრალურ მოედანზე რომ მართავს, აბა, რა უნდა მოითხოვონ. „ლევერკუზენისგან" კი ქომაგები რასაც ითხოვენ, შეხსენება არ სჭირდება. მაგრამ ერთიცაა — ებრაელებმა გამარჯვებას გემო გაუგეს და ვინძლო, არც ახლა თქვან უარი.

ჰაიფელებს სადღეისოდ არ ეყოლებათ კუნთდაჭიმული მცველი ალონ ხარაზი, რომელსაც ეს სამწუხარო ამბავი „ოლიმპიაკოსთან" მატჩისას შეემთხვა და ფეხბურთს ერთი თვით ჩამოშორდა. მის მაგიერ სასტარტო შემადგენლობაში უნდა ველოდოთ ავიშაი ზანოს. სხვა მხრივ კი მწვრთნელი იცხაკ შუმი რაიმეს შეცვლას არ აპირებს, აქაოდა, გამარჯვებულებს არ ცვლიანო. ოღონდ ებრაელთა შუახაზელი ჯოვანი როსო ფრთხილად უნდა იყოს — ერთი ყვითელი ბარათი უკვე აქვს.

„ლევერკუზენისთვის" კი მესამე მარცხი სიკვდილის ტოლფასი იქნება, რის გამოც სამკვდროსასიცოცხლოდ აპირებს ბრძოლას. გაუთვლიათ, თუ ჩვენც მოვიგებთ და „მანჩესტერიც", ჯგუფში სამი სამქულიანი გუნდი იქნება და ყველაფერი თავიდან დაიწყებაო. გერმანელებს კვლავაც არ ეყოლებათ დაშავებულები, იენს ნოვოტნი და დიეგო პლასენტე.

„მანჩესტერში" მატებაა: პოლ სქოულზი, ვან ნისტელროი და ხუან ვერონი მოედანს დაუბრუნდნენ. აპრილის მერე ძირითადში პირველ საერთაშორისო მატჩს უმიზნებს ტყუპისცალი გარი ნევილი. როი კინისა და უესლი ბრაუნის საქმეები კი ძველებურადაა ანუ დაშავებულნი არიან.

დანაკლისია ბერძნულ კლუბში. ფორვარდი ლამბროს ხუტოსი ლაზარეთში შეუერთდა ხრისტოს კონტისს, ვინაც მუხლს რა ხანია, მკურნალობს.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| მაკაბი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

## H ჯგუფი

### გალათასარაი — ბრიუგე

სავარაუდო შემადგენლობები

მონდრაგონი, ბიულენთი, უმალი, ალმაგრო, დავალა უმითი, ბატისტა, ერგუნი, ფელიპე, ა. ჰ. სარი, არიფი, კრისტიანი

ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, კლემენტი, ვან დერ ჰეიდენი, სიმონსი, ენგლებერტი, ვერჰეიენი, სერებრიანიკოვი, მენდოსა, ლანგე

### ლოკომოტივი — ბარსელონა

სავარაუდო შემადგენლობები

ს. ო. ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ლეჟნევი, იგნაშევიჩი, ევსეევი, სენიკოვი, მამინოვი, ხულიო სეზარი, ბუზნიკინი, პიმენოვი

ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ხავი, კოკუ, გაბრი, ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა

# ბარსელონაში მშობიარობა აკრძალეს

წინა ტურში ბრიუგეში გაძევებული დმიტრი ლოსკოვი დღეს რუსებს, ცხადია, დააკლდება. მისი ადგილის შევსებას იური სიომინი დროზდოვ-მამინოვ-ევსეევის ტრიოთი აპირებს და ეს ვარიანტი ვარჯიშებზეც ბევრჯერ დაუმუშავებია. მოსკოველებს არ ეყოლებათ სირხაევი და სამხრეთაფრიკელი მნგუნი. სულ იოტისოდენა იმედია მარატ იზმაილოვის თამაშისა — ოდენ ხუთი დღეა გასული მას შემდეგ, რაც იზმაილოვმა ფეხიდან თაბაშირი მოიხსნა.

„ბრიუგესთან" ტრავმა მიიღო ჯეიმს ობიორამაც, თუმც საშიში არაფერი აღმოჩნდა და დღეს ალბათ სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

თურმე რუსთა გუნდის მესვეურები თვალმაზვილი ხალხის გაგზავნას აპირებდნენ „ბარსელონას" დასაზვერად (!) „ბეტისთან" მატჩისას, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრეს.

„ბარსაზე" ვერ ვიტყვი, რომ რაიმე ახალი პრობლემები აქვს. ის, რაც „ბეტისთან" დაემართა, კატალონიური კლუბის განუყრელი ნაწილია. ასეთი ჩავარდნები რა ხანია, აქვს.

მოსკოვს ვერ ეწვევა ხუან რომან რიკელმე, რომელსაც, როგორც ამბობენ, მწვრთნელთან ურთიერთობა გაუფუჭდა. გარდა ამისა, რომანი სამშობლოში საპატიო მიზეზით გაემგზავრა, ახალშეძენილი ბიჭის ნახვა სწყურია.

ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ხუმრობით თუ სერიოზულად, აბა, რას გაუგებ, ბრძანა: „მესმის, შვილი შეეძინა, მაგრამ სამომავლოდ ყველამ გაითვალისწინოს — თავისი ცხოვრება ისე დაგეგმოს, რომ ბავშვები სეზონებს შუა გაჩნდნენ."

„გალათასარაი" პირველი საშინაო გამარჯვებისთვის „ბრიუგეს" ჩაუსაფრდა. თავის მხრივ არც ბელგიელები იტყვიან უარს მოგებაზე, მაგრამ ცხადია, გაუჭირდებათ.

„ბრიუგეს" ფორვარდ რუნე ლანგეს ადრე „ტრაბზონსპორში" უბურთავია და იცის, სტამბოლის „ალი სამი იენიზე" როგორი ატმოსფეროც სუფევს: „სულ ცოტა ქულისთვის ვიბრძოლებთ. ბოლოს და ბოლოს, თვით „ბარსელონას" გავუტანეთ ორი გოლი და იგივეს გაკეთებას სტამბოლშიც შევეცდები. ისე, ცხადია, ძნელი იქნება."

**მამა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

28 სექტემბერი. 19 საათი

# ირლანდია 63:14 საქართველო

დუბლინი. «ლენსდაუნ როუდი»

# ირლანდიამ რუსეთთან ფრე წაგვართვა
## არაფერი მოგვების გარდა!



პიტერ სტრინგერი ვანო ნადირაძეს ფეხებში თავგანწირვით ჩაუვარდა

REUTERS

**ირლანდია:** დემპსი, კელი, ოდრისკოლი, მაგსი (ჰენდერსონი, 65), ჰიკი, ოგარა (ჰემფრიზი, 60), სტრინგერი (გ. ისტერბი, 74); კორიგანი, ბირნი (შეიჰი, 71), ჰეისი (უოლეჰი, 74), ლონგველი (კულენი, 74), ოკელი, ს. ისტერბი (ქვინლანი, 56), გლისონი, ფოლი (კაპ)

მლ: ოდრისკოლი (2), ჰიკი, მაგსი, დემპსი, ს. ისტერბი, ქვინლანი, გ. ისტერბი;

7გ: ოგარა (6), ჰემფრიზი (2); 3ს: ოგარა

**საქართველო:** ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ალანია (კაცაძე, 41), ხუხულაშვილი (იოვაძე, 69), ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე (მთიულიშვილი, 69), გიორგაძე, ცაბაძე (რატიანიძე, 69), ნადირაძე, დიდებულიძე, ბოლაშვილი (გუნდიშვილი, 4; მჭედლიშვილი, 62), ჩხაიძე, ზედგინიძე (კაპ)

2ლ: კაცაძე, ხამაშურიძე; 2გ: ურჯუკაშვილი

გაფრთხილება: მთიულიშვილი (74)

მსაჯი: ნაიჯელ უილიამსი (უელსი)

**სენსაცია** არ მომხდარა, ქართველმა მორაგბეებმა დიდი ანგარიშით წააგეს დუბლინში ზურმუხტკუნძულელ მორაგბეებთან, მაგრამ მოხდა მოულოდნელობაც — „ბორჯღალოსნებმა" ირლანდიის ნაკრებს ორი ლელო გაუტანეს. ნუგეშის და იმედის ლელოები იყო და შესაძლოა, ეს 14 ქულა ჩვენთვის უფრო მეტად პოზიტიური იყოს, ვიდრე მიღებული 63 ნეგატიური. ოთხი წლის წინანდელი ირლანდიური გაკვეთილი — 0:70 კარგად გახსოვს და მეტოქეთაგან მოფერებას არც ახლა ველოდით. მოულოდნელობა სწორედ ჩვენი ბიჭებისგან მოიხსენე მასპინძელთა ორგზის დალელოებაშია. ბიჭებს შეუძლიათ ძნელი ლელოს გატანა და ეს ფაქტი მომავლისთვის იმედის ნაპერწკალია.

ნაპერწკალი და მუხტი კი სწორედ რომ გვჭირდება. ორ კვირაში საქართველოს რუსეთი სტუმრობს, არათუ ჯაბანი, არამედ, ფაქტობრივად, ჩვენი ტოლი სარაგბო ქვეყანა და ოხ, როგორ გვინდა და გვჭირდება მათი დამარცხება. ირლანდიასთან მარცხიანი თამაში „ბორჯღალოსნებს" ვარჯიშად ჩაეთვლებათ. მათ 13 ოქტომბერს „ეროვნულზე" მოუწევთ თავის გამოჩენა, არა, უფრო თავის გადაღება. უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით ქართველებს. მოუგებენ რუს „დათვებს" და მოიხვეჭენ სახელს, დიდებას, მსოფლიოს თასის საგზურს... წააგებენ და მოუწევთ გადასათამაშებელი მატჩების ჯუნგლებში გზის გაკაფვა, სადაც ვინ იცის, სად გადააწყდებიან ჩასაფრებულ ვეფხვს.

ძირითადად ასეა, ქართველებს რაიმეს მისაღწევად დრო გვჭირდება, ერთბაშად არაფერი მოგვდის და სანამ საკუთარ შეცდომებზე რაიმეს ვისწავლით, ეს შეცდომები სულს გვიხუთავს. არც ირლანდიის დაცვის ხაზი გაგვირღვევია პირველი მიძალებით. პირიქით მოხდა, პირველივე წუთებზე დენის ჰიკიმ ჩვენი პირითი ხაზი დაცვიანად გაკვეთა და მასპინძელთა თარეშიც ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე დაიწყო. „სამყურები" თავის კუნძულზე თამაშობდნენ, მაგრამ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. რეალობა ასეთია, საქართველო ისეთი ვერაა, ირლანდიას სადმე მოუგოს. პირველმა ტაიმმა სრულად წარმოაჩინა კლასში „მწვანეთა" უპირატესობა. „სამყურებმა" კიდევ ოთხი ლელო გაგვიტანეს, რომელთაგან ორი შუამარბ ბრაიან ოდრისკოლის მონაგარია.

პირველივე ტაიმში 0:42 განადგურებისგან ვერც უძლიერესმა შემადგენლობამ გვიხსნა. ბორჯღალოსანთა მოძღვარმა კლოდ სორელმა, ტრავმათა საფრთხის მიუხედავად, ყველა წამყვანი მორაგბე ათამაშა. ითამაშა შერკინების ბურჯმა ლევან ცაბაძემაც, რომელსაც სორელთან უთანხმოება ჰქონდა და ამის გამო ნაკრებს კაპიტანი შეეცვალა. აღსანიშნავია, რომ სორელმა ლევანის სამკლავური ვეტერან ვიქტორ დიდებულიძეს გადასცა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ირლანდიასთან მატჩამდე ბორჯღალოსნებმა იბჭეს და კაპიტნად ილო ზედგინიძე აირჩიეს.

პირველ ტაიმში ქართველებმა ორი მძლავრი შემტევი მოისაკლისეს. გია ლაბაძეს ყვრიმალი აქვს გატეხილი და ირლანდიელებთან ვერაფრით დაეხმარა თავისიანებს, ხოლო ძირითად მე-12 ნომერ ვასილ კაცაძეს სორელმა პირველ ტაიმში დაცვაზე ორიენტირებული კახა ალანია არჩია.

კაცაძე შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე და ქართველთა პირველი ლელოს ავტორიც შეიქნა. მაგრამ სანამ ვასიკო იყოჩაღებდა, მასპინძლებმა მეექვსე ლელო გაგვიტანეს და 49:0 დაწინაურდნენ. ამის მერელა გამართეს ჩვენებმა პირველი ხეირიანი შეტევა. კაცაძემ მწვანე კედელში ნაპრალი შენიშნა და იქ მიაწვა. ქართველმა „ლომურ" იოლად დააღწია თავი ოდნავ მომცრო რონან ოგარას მოპოტინე ხელებს და ბურთი „მწვანეთა" მწვანე ლელოში დადო. მალხაზ ურჯუკაშვილმა ზუსტად გარდასახა. ოცი წუთის შემდეგ უკვე ბესიკ ხამაშურიძემ დაადუმა „ლენსდაუნ როუდი" და ბორჯღალოსანთა მონაგარი 14 ქულამდე გაიზარდა.

მაგრამ ქართველებმა მაინც ვერ შეძლეს ირლანდიასთან რუსებზე ნაკლები სხვაობით წაგება. მატჩის მიწურულს მსაჯმა „ბორჯღალოსანთა" „ბებერი ხარი" მევლუდ მთიულიშვილი გააგდო და ჩვენებმა ქულაც ველარ შეიმატეს. საბოლოოდ ქართველები 49 ქულის სხვაობით დამარცხდნენ, ასე რომ, ქულებით ჩამორჩნენ ირლანდიასთან მხოლოდ 3:35 წაგებულ რუსებს. ამის გამო ჩვენებისა და რუსების შეხვედრაში ფრე მეტოქეს მისცემს ხელს. ისე, ეს იქნებ სახეიროც იყოს, ბორჯღალოსნები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. დაე, მათ ერთხელაც დაამტკიცონ, რომ დიდი რუსეთის ძირს დანარცხება ხელეწიფებათ.

**ირაკლი ფირცხალავა**

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +81 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -32 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -49 | 0 |



ვუელტა 7 - 29 სექტემბერი

# ასფალტი ბერნაბეუზე მთავრდება

## გონსალესი ვუელტას ჩემპიონია

**დღემდე** თითქმის უცნობმა ველოსიპედისტმა ესპანეთის დიდი წრე — ვუელტა მოიგო. შეჯიბრება, რომელიც მნიშვნელობით მხოლოდ ტურ დე ფრანსს თუ ჩამოუვარდება.

და მაინც, ეს არ იყო სენსაცია. ჯერ ერთი: ბოლო წლებში ესპანეთი პერსპექტიულ ველომრბოლთა ნამდვილ სამჭედლოდ იქცა. აღარავის უკვირს, რომ თითქმის ყველა სერიოზულ შეჯიბრებაში პირველი ათი ადგილიდან სულ ცოტა ექვსი მაინც ესპანელებისაა. მეორეც: შემთხვევით ხანდახან მაინც კაცმა შეიძლება რომელიმე ვაკე ეტაპი მოიგო, მაგრამ როცა პირველივე ინდივიდუალურ რბოლაში აიტორ გონსალესმა მეორე ადგილზე გასულ სევილიას თითქმის წუთი მოუგო, ცხადი გახდა, რომ ამიერიდან გამარჯვების ყველა კანდიდატს ამ სპორტსმენის შიში და რიდი უნდა ჰქონოდა. აკი ვწერდით კიდეც მთიანი ეტაპების მერე, როცა რობერტო ერასმა წუთითა და წუთნახევრით გაასწრო უახლოეს მდევრებს გონსალესსა და სევილიას, ერასს გაუჭირდება ოქროსფერი მაისურის ბოლომდე შენარჩუნებაო. სულ ბოლო, 21-ე ეტაპზე, რიგით მეორე ინდივიდუალურ რბოლაში კი, სადაც იგი ტრადიციულად ძალზე სუსტადასპარეზობს, ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

უიღბლო გამოდგა ვუელტას ფინალი ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის და დღეისთვის ალბათ ყველაზე პერსპექტიული სპორტსმენის ოსკარ სევილიასთვის. უკვე რბოლის დასაწყისშივე მრბოლს ორჯერ მოუხდა ველოსიპედის გამოცვლა. ეს კი, სულ მცირე, წუთიანი დანაკარგია. გამახსენდა 1998 წლის ტურ დე ფრანსის ბოლო ინდივიდუალური, სადაც ზუსტად იგივე დაემართა წინა წლის ჩემპიონს ბიარნე რიისს. როცა მეორედაც გაოჩნდა ველოსიპედი, გამწარებულმა ორივე ხელი დაავლო და ბალახებში მოისროლა. ახალგაზრდა ესპანელი ემოციებს ასეთნაირად არ აჰყვა, მაგრამ ბრძოლის უნარი და სურვილი კი საბოლოოდ დაკარგა.

წუთი და რვა წამი ჰქონდა გასაქვითი გონსალესს. ორმოც კილომეტრზე ასეთი სხვაობის ლიკვიდაცია ინდივიდუალურ რბოლაში გაუგონარი ამბავი სულაც არ არის, მაგრამ არც არმსტრონგის მარჯვენა ხელი და ამერიკაში სწორედ ინდივიდუალურ რბოლაში კლასის ასამაღლებლად გადაბარგებული, სხვათა შორის, 2000 წლის ვუელტას ჩემპიონი რობერტო ერესია ის კაცი, რომელსაც აგრერიგად იოლად მოუგებ წუთზე მეტს. თუმცა საქმე ისე წავიდა, რომ... პირველ 12 კილომეტრზე გონსალესმა 33 წამი ისე იოლად აართქლა, რომ ყველა მიხვდა — სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონზე მისული ფეხბურთისა და ველოსპორტის უამრავი გულშემატკივარი ვუელტას წლევანდელ ჩემპიონად აიტორ გონსალესს იხილავდა.



აიტორ გონსალესი ჩემპიონის თასით

REUTERS

ასეც მოხდა. ერასი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ტურ დე ფრანსის მეორე პრიზიორმა ხოსება ბელოკიმ კი სევილიას წარუმატებლობით ისარგებლა და საბოლოო მესამე ადგილი დაისაკუთრა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### XX ეტაპი ავილა-პარნერი 142 კმ

1 ანჯელო ფურლანი („ალესიო", იტალია) 3 სთ, 00 წთ, 08 წმ
2 ალესანდრო პეტაკი („ფასო ბარტოლო", იტალია) იგივე დრო
3 ერიკ ცაბელი („ტელეკომი", გერმანია) იგივე დრო

### XXI ეტაპი ინდივიდუალური რბოლა პარნერი - სანტიაგო ბერნაბეუ 40 კმ

1 აიტორ გონსალესი („კელმე", ესპანეთი) 47 წთ, 54 წმ
2 ანხელ კასერო („კოასტი", ესპანეთი) +1 წთ, 23 წმ
3 დავიდ პლაზა („კოასტი", ესპანეთი) +1 წთ, 45 წმ

### საერთო ჩათვლა

1 აიტორ გონსალესი („კელმე", ესპანეთი) 75 სთ, 13 წთ, 52 წმ
2 რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) +2 წთ, 14 წმ
3 ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) +3 წთ, 11 წმ

### საუკეთესო სპრინტერი

1 ერიკ ცაბელი („ტელეკომი", გერმანია) 188 ქულა
2 ალესანდრო პეტაკი („ფასო ბარტოლო", იტალია) 163
3 აიტორ გონსალესი („კელმე", ესპანეთი) 151

### გუნდური

1 კელმე 225 სთ, 37 წთ, 59 წმ
2 კოასტი +2 წთ, 05 წმ
3 მილანეზა +34 წთ, 48 წმ

# ოძელა





**ქვეყნის** სიძლიერე მხოლოდ ნიჭიერ და მხნე კაცებზეა, ქვეყანას უფულობა და უქონლობა კი არ ასუსტებს, არამედ ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობაო, ამბობდა ვოლტერი.

ერთი კვირის წინ ვენაში საქართველომ სწორედ ერთი ასეთი ნიჭიერი და მხნე ახალგაზრდა კაცი დაკარგა. იმ დილით ავსტრიის დედაქალაქის სასტუმროში გარდაცვლილი ნახეს 28 წლის დავით ოძელაშვილი, ვინც იქ კიდევ ერთხელ ჩასულიყო ქართული კულტურის წარმოსაჩენად.

ფლეიტის ეს ჯადოქარი ერთნაირი წარმატებით უკრავდა კლასიკურ მუსიკასაც, როკსაც, ჯაზსაც, ფოლკსაც... თავისი ვირტუოზული შესრულებით იგი აღაფრთოვანებდა მთელ ევროპას, დაწყებული რიგითი მუსიკის მოყვარულით და მრავალი კონკურსის ჟიურის წევრებით დამთავრებული.

დავით ოძელაშვილი თერთმეტისა იყო, როცა ეროვნულ კონკურსში გაიმარჯვა, ცამეტის თბილისის კონსერვატორიაში გამოვიდა კონცერტით, თხუთმეტი წლის ჭაბუკი გერმანიაში 18-დან 35 წლამდე შემსრულებლების საერთაშორისო კონკურსზე დაუშვეს, როგორც გამონაკლისი.

ჭაბუკ მუსიკოსს ფლეიტასთან ერთად ქალაქიდან ქალაქში მუდამ თან დაჰქონდა ჩოგანიც. თუმცა, შეიძლება, პირიქითაც გვეთქვა, რადგან დათო ოძელაშვილი ჩოგბურთსაც დიდი გატაცებით ეუფლებოდა და აქაც არანაკლებ პერსპექტიულად ითვლებოდა. იყო საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი და არაერთ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაშიც გამოიჩინა თავი, რაც თითქმის 18 წლამდე გაგრძელდა. მაგრამ ჭეშმარიტად მაღალი მწვერვალების დასაპყრობად ერთ-ერთი უნდა დაეთმო.

და არჩევანი ფლეიტის სასარგებლოდ გაკეთდა. რომ არა ფლეიტა, ჩოგბურთს ბოლომდე გავყვებოდიო, არაერთხელ უთქვამს ამ საკრავის ვირტუოზ შემსრულებელს.

მერე კი იყო ვენის მუსიკალური აკადემია, კრაკოვის მოცარტის აკადემია, ჯანსულ კახიძის სიმფონიური ორკესტრი, „დათოს ჯაზკლუბი", კლუბი „ჯაო"... იყო მასტერკლასები, გასტროლები, კონცერტები და მხურვალე ტაში. წინ კიდევ დიდი მწვერვალები იყო, მაგრამ...

დღეს მიწას მიაბარებენ დავით ოძელაშვილს, ჩვენ კი გვრჩება მისი ხელოვნება, რაც სხვადასხვა ჩანაწერებში აისახა, მათ შორის საფრანგეთში გამოსულ დათოს პირველ ალბომში „ოძელა", რაც უკანასკნელიც აღმოჩნდა.

ქვეყნის სიძლიერე მხოლოდ ნიჭიერ და მხნე კაცებზეაო და დღეს საქართველო სწორედ ერთ ასეთ ახალგაზრდას ეთხოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1 მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთექვსმეტე ეტაპი

# რუბენსსაც თავისი ერგო




REUTERS

რუბენს ბარიკელომ ათი წლის ნატვრა აისრულა

**ფანტასტიკური** „ფერარისა" და ფერარისტების არანორმალური დომინირების გამო მოსაწყენი სეზონის ერთფეროვნებას შიგადაშიგ თავად სკუდერიელთა ოინბაზობა თუ გაახალისებს ხოლმე. მორიგი მასკარადი წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპის ფინიშზე ვიხილეთ. ეს კვირას, ლეგენდარულ „ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეის" საგანგებოდ მეფორმულეთა ჯირითისთვის გართულებულ ოვალზე მოხდა, ჯერ კი როგორც ყოველთვის, წინა დღეების ამბებზე.

პარასკევს პირველივე ოფიციალურ (დროის ფიქსირებით) ვარჯიშისას რუბენს ბარიკელოს „ფერარის" იაპონური „ბრიჯსტოუნის" საბურავი გაუსკდა და მთელი ძალით მიეხეთქა დამცავ კედელს. მრბოლს, საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია, მანქანა კი გვარიანად დაილეწა და რაკი პილოტებს სათადარიგო ბოლიდის გამოყენება ეკრძალებათ, ბრაზილიელი დარჩენილ დროში მაყურებლობას დასჯერდა.

„ოვალის" ტრიბუნებზე შეკრებილები იმ დღეს სანახევროდ ისტორიული ფაქტის მოწმენი გახდნენ - ოთხკილომეტრიან ტრეკზე ახალთახალი „მაკლარენით" სამი წრე გაიქროლა 21 წლის ამერიკელმა სარა ფიშერმა, რომელიც პირველ სეზონს ატარებს თავის მშობლიურ ავტოჩემპიონატში. ფორმულაში სულ სამიოდე ქალს ურბოლია, უკანასკნელად, ზუსტად ათი წლის წინ, იტალიელ ჯოვანა ამატის. ფიშერის განავარდებას კი სანახევრო იმიტომ ეთქმის, რომ ეს მხოლოდ სარეკლამო აქცია გახლდათ და სულაც არ ნიშნავს, რომ ერთ-ორ წელიწადში სამეფო რბოლებში ვიხილავთ.

ახლა საშაბათო კვალიფიკაციაზე: თავიდან დაწინაურდნენ ინდიანაპოლისის 500-მილიანი ზემარათონის მომგებები ჟაკ ვილნევი და ხუან პაბლო მონტოია. მიხაელმა პირველ გასვლაზე შეცდომა დაუშვა და ბალახში გასეირნებით ცდა, ცხადია, უხეირო გამოუვიდა, სამაგიეროდ, მეორედ ჩვეული რისკიანი და უზუსტესი მანერით ისე ფეთიანად გაიქროლა, რომ ხუანის შედეგსაც აჯობა და თავისივე შარშანდელი რეკორდი ზუსტად წამით გააუმჯობესა — 1 წთ; 10,790 წამი (213,2კმ/სთ საშუალო სიჩქარე). ახალი მიღწევის ძლევა საპოულე საათის გასრულებამდე ვერავინ შეძლო, ხოლო მონტოიას დროს მეორე სკუდერიელმაც და მაკლარენელმა დევიდ კულჰარდმაც აჯობეს, ასე რომ, კოლუმბიელს მეოთხე პოზიციიდან მოუხდა რბოლის დაწყება. მისი უილიამსელი მეწყვილე რალფ შუმახერი სტარტზე მეხუთე იდგა, მეორე მაკლარენელ კიმი რაიკონენის წინ. ვილნევმა საბოლოოდ წლეულს თავისთვის საუკეთესო, მეშვიდე შედეგი აჩვენა.

სტარტი გასაკვირად მშვიდობიანი, უვარიო გამოვიდა. რალფმა შეყოვნებულ თანაგუნდელს თავიდანვე აუარა გვერდი და შუმი-კელოს დუეტსა და კულჰარდს გამოუდგა, მაგრამ ერთ წუთში მისთვის ბრძოლა ფაქტობრივად დასრულდა: მონტოიამ მეორე წრეზე სცადა დანაკარგის დაბრუნება და გვიანი დამუხრუჭების ხარჯზე პირველ მოსახვევში დააპირა გასწრება, რალფმა არ დაუთმო, სიჩქარე არ დაუგდია და, რომ იტყვიან, გადამუხრუჭებით სცადა პოზიციის შენარჩუნება, მაგრამ ზუსტად ვერ გათვალა და ასფალტზე დაბზრიალებული მანქანა ხუანისას კუდით აჰკრა. უილიამსელთა „თვითმკვლელობამ" მონტოია სამი ადგილით უკან გადაისროლა, ხოლო შუმახერის ბოლიდს უკანა სპოილერის ახლით შეცვლას მექანიკოსებმა ზუსტად ერთი წრის გავლის დრო — წუთი და ათი წამი მოანდომეს, რაც ნულოვანი განაჩენის ტოლფასი იყო. გერმანელმა რბოლის ბოლომდე კი გაძლო, მაგრამ თუნდაც ერთი ადგილით წინ წაწევა ვერ მოახერხა.

მონტოიამ მშვიდობიანად გააგრძელა და ორი მეტოქის გასწრების შემდეგ მშვენიერი საპოდიუმე შანსიც გაუჩნდა, მაგრამ ისიც საკუთარმა შეცდომამ აზარალა — მოეჩვენა, რომ მექანიკოსები საწვავ-საბურავებისთვის პიტსტოპზე ეპატიჟებოდნენ და ნაადრევად ესტუმრა ბოქსებს, რის გამოც თითქმის დაცარიელებულავზიანი, მსუბუქი მანქანის უპირატესობა ვერ გამოიყენა კულჰარდთან ჭიდილში.

ფერარელებმა კი ტრასაზე თავიდანვე ქარიშხალი დაატრიალეს. უკვე მეათე წრისთვის მიხაელი და კუდში მიწებებული რუბენსი ათი წამით დაშორდნენ უახლოესს — კულჰარდს, სხვები — ტრული, რაიკონენი, ვილნევი, მონტოია, ფიზიკელა, ცხადია, უარეს დღეში იყვნენ. სკუდერიელთა ასეთი დაფეთების მიზეზი მალე გაირკვა: მათ განსხვავებული, ორბოქსიანი ტაქტიკა აერჩიათ და ბენზინნაკლული ბოლიდებით სასურველ შედეგს მეტად იოლადაც მიაღწიეს.

ვალებში ჩაფლული „ეროუსიდან" აბარგებული ვეტერანი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი გაისად უნდა მისულიყო „ზაუბერის" საჭეს, მაგრამ მოულოდნელად წლეულსვე მოუხდა გაჯირითება — წინა ეტაპზე მონცაში ავარიის გამო დასჯილი ფელიპე მასას ადგილი დაიკავა. სტიუარდებმა ბრაზილიელს პედრო დე ლა როსასთან შეჯახებაში დასდეს ბრალი, სასჯელად კი მომდევნო რბოლაში (ინდიანაპოლისი) ათი სასტარტო ადგილით დაქვეითება დაუდგინეს. ამიტომაც შეცვალა პეტერ ზაუბერმა წინასწარვე განწირული მასა გამოცდილი გერმანელით. ფრენცენსაც ცდა არ დაუკლია, მაგრამ მაინც უქულოდ დარჩა.

შშვენივრად იბრძოლა კულჰარდმა, პოდიუმზეც შედგა და ოთხი ამერიკული ქულით მეტად პრესტიჟული, ოთხსქულიანი ზღვარი დაძლია და ამ მაჩვენებლით ფორმულის 53-წლიან ისტორიაში მეორე პილოტი შეიქნა.

რბოლის მიწურულს ფერარელებმა აშკარად უკლეს ტემპს და მშვიდად მიგორავდნენ ფინიშისკენ, მაგრამ ზედ დროშის დაქნევის წინ ყველასთვის გასაკვირად მიხაელმა რუბენსს, რომლისთვისაც ეს „ფერარიში" 50-ე რბოლა იყო, წამოწევის საშუალება მისცა და ასე გვერდიგვერდ გადაკვეთეს თეთრი ხაზი. „ფოტოფინიშმა" გამარჯვებულად დაასახელა ბარიკელო, რომლის უპირატესობაც მეასედი წამით გამოიხატა, ეს კი სარეკორდოდ მცირე სხვაობა გახლავთ. ასეთ ფინალს, როგორც ჩანს, მოგებულიც არ ელოდა, ყოველ შემთხვევაში, მანქანიდან გადმოსულს აღფრთოვანებისა არაფერი ეტყობოდა. მიხაელი, პირიქით, მხიარული ჩანდა, თანაგუნდელს ხელი გადაჰხვია და მეგობრულად მოეფერა, საქმის ახსნა კი პრესკონფერენციაზე სცადა: „ცხადია, ასეთი ფინიში წინასწარ არ დაგვიგეგმია. უბრალოდ, გვინდოდა, ხაზი ერთდროულად გადაგვეკვეთა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. არც ვიცოდით, ვინ გაიმარჯვა, ვიდრე კოკპიტიდან არ ამოვედით. ვფიქრობ, რუბენსმა მოგება დაიმსახურა".

ასეა თუ ისე, „ფერარიმ" წლეულს უკვე მერვე დუბლი მიითვალა, 205 ქულა დაუგროვდა და „მაკლარენის" 14 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა. პირადად ბარიკელოსთვის კი გაცილებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — 30 წლის მრბოლი ათწლიან კარიერაში როგორც იქნა ეღირსა ვიცე-ჩემპიონობას. ისე ინდიანაპოლისში სულაც ქულის გარეშე რომ დარჩენილიყო, ოცნებას მაინც აისრულებდა.

**გია ახალაძე**

| გუნდური ქულები სეზონში | |
|---|---|
| ფერარი (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) | 205 (2002) |
| მაკლარენი (აირტონ სენა, ალენ პროსტი) | 199 (1988) |
| ფერარი (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) | 179 (2001) |
| უილიამსი (დეიმონ ჰილი, ჟაკ ვილნევი) | 175 (1996) |
| ფერარი (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) | 170 (2000) |
| უილიამსი (ალენ პროსტი, დეიმონ ჰილი) | 168 (1993) |
| უილიამსი (ნაიჯელ მენსელი, რიკარდო პატრეზე) | 164 (1992) |
| მაკლარენი (მიკა ჰაკინენი, დევიდ კულჰარდი) | 156 (1998) |
| მაკლარენი (მიკა ჰაკინენი, დევიდ კულჰარდი) | 152 (2000) |
| მაკლარენი (ნიკი ლაუდა, ალენ პროსტი) | 143,5 (1984) |

### რბოლის შედეგები

**აშშ-ის დიდი პრიზი**
29 სექტემბერი. ინდიანაპოლისი
დისტანცია 73 წრე — 306,016კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. ბარიკელო (ფერარი) | 1:31.07,934 (201,476 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 0,011 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 07,799 |
| 4. მონტოია (უილიამსი) | 09,911 |
| 5. ტრული (რენო) | 56,847 |
| 6. ვილნევი (BAR) | 58,211 |
| 7. ფიზიკელა (ჯორდანი) | 1 წრით |
| 8. ბატონი (რენო) | 1 წრით |
| 9. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10. ირვაინი (იაგუარი) | 1 წრით |
| 11. სატო (ჯორდანი) | 1 წრით |
| 12. პანი (BAR) | 1 წრით |
| 13. ფრენცენი (ზაუბერი) | 2 წრით |
| 14. სალო (ტოიოტა) | 2 წრით |
| 15. მაკნიში (ტოიოტა) | 2 წრით |
| 16. რ. შუმახერი (უილიამსი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| რაიკონენი (მაკლარენი) | გაიარა 50 წრე |
| იონგი (მინარდი) | 47 |
| ვებერი (მინარდი) | 38 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 27 |

**საუკეთესო წრე**

ბარიკელო 1:12.738 (207,628კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | 6 | | 134 |
| 2 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | 6 | – | 4 | 10 | 6 | – | 3 | 10 | 6 | 10 | 10 | | 71 |
| 3 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | – | – | 4 | 3 | 6 | – | 4 | – | 3 | | 47 |
| 4 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 4 | 4 | 2 | – | – | | 42 |
| 5 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 6 | – | – | 4 | 2 | 2 | 3 | – | 4 | | 41 |
| 6 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | – | – | 3 | 4 | – | 6 | – | 3 | – | – | – | | 20 |
| 7 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | – | 2 | – | 1 | – | – | – | 2 | – | | 13 |
| 8 ტრული (რენო, იტალია) | – | – | – | – | – | – | 3 | 1 | – | – | – | – | – | – | 3 | 2 | | 9 |
| 9 ირვაინი (იაგუარი, დ. ბრიტანეთი) | 3 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 1 | 4 | – | | 8 |
| 10 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | 1 | – | 1 | – | – | – | – | | 7 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) — 7; მასა (ზაუბერი), ვილნევი (BAR) — 4; პანი (BAR) — 3; ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი) — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | 14 | 16 | 16 | 10 | 13 | 16 | 16 | 16 | 16 | | 205 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | – | 3 | 4 | 5 | 10 | 4 | 6 | – | 3 | | 89 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 9 | 4 | – | 10 | 2 | 5 | 3 | – | 4 | | 61 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 1 | – | – | – | 5 | 2 | | 22 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | – | 1 | 1 | – | 1 | – | – | – | – | | 11 |
| იაგუარი — 8; ჯორდანი — 7; BAR — 7; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:**
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი პაშაკიძე, პაატა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაб ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge